გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№32 (1722) 2 — 8 ოქტომბერი ოთხშაბათი 2024 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

## ორსულმა ქალმა ქმრის საყვარელზე შური იძია

რატომ დაიჭირეს დაზარალებულის და და როგორ გაირკვა სიმართლე

# სექსუალური ტრეფიკინგი, რეკეტი, შანტაჟი და ნარკოძალადობა – სკანდალი, რომელმაც მსოფლიო შეძრა




ვინ იყვნენ Paff Daddy-ის თეთრი წვეულებების სტუმრები და იმოქმედებს თუ არა კრიმინალური საქმე აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებზე

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

## სახლები დუშეთსა და თბილისში, მიწის ნაკვეთები დუშეთში – რა ქონებას ფლობს „პლასტელინივით კაცი"

გიორგი მარგველაშვილის ქონებრივი დეკლარაცია

## ბიძინა ივანიშვილი: „შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომი მონაგონი იქნება!"

„კახელები პირდაპირი ხალხი ხართ, მიკიბულ-მოკიბული საუბარი არ გიყვართ, ამიტომ მეც პირდაპირ გეტყვით – 26 ოქტომბერს, „ქართულ ოცნებას" უნდა დაუჭიროთ მხარი!"

## საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის, ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა




საქართველოს მთავრობასა და ესპანეთის სამეფოს მთავრობას შორის, ეროვნული მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმება ძალაში შევიდა.

შეთანხმების თანახმად, მხარეთა მიერ გაცემული მოქმედი მართვის მოწმობის მფლობელები, თეორიული ან პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების გარეშე შეძლებენ მიიღონ თანაბარი ძალის მქონე მართვის მოწმობა იმ სახელმწიფოში, რომელიც მათ კანონიერ საცხოვრებელს წარმოადგენს.

მსგავსი ტიპის შეთანხმებები საქართველოს, ასევე, გაფორმებული აქვს ირლანდიასთან და საბერძნეთის რესპუბლიკასთან.

საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მართვის მოწმობების ურთიერთაღიარების და გადაცვლის შესახებ შეთანხმება მხარეთა მიერ შესაბამისი შიდა პროცედურების დასრულების შემდეგ შევა ძალაში, ხოლო ირლანდიაში ქართული მართვის მოწმობების გადაცვლა უკვე შესაძლებელია.

## ახალი, ევროპული „H 145“ ტიპის სამივე შვეულფრენი საქართველოშია

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციას მესამე „H 145“ ტიპის ვერტმფრენი შეემატა. ახალი ბორტი სასაზღვრო პოლიციის მფრინავებმა გერმანიიდან საქართველოში ჩამოიყვანეს.

თანამედროვე, ევროპული ტიპის სამივე ბორტი სრულად დაკომპლექტებულია ხანძართან ბრძოლისა და სამთო-სამაშველო აღჭურვილობით. მათ გააჩნიათ 2 ძრავა, რაც ზრდის ფრენის უსაფრთხოებას. „H 145“ ტიპის შვეულმფრენები მაღალ სიმაღლეზე ოპერირებისა და მანევრის შესაძლებლობებით გამოირჩევა, რაც, საქართველოს მაღალმთიანი რელიეფის გათვალისწინებით, არსებულ ამოცანებთან სრულად თავსებადია.

სასაზღვრო პოლიციის საფრენოსნო შემადგენლობამ სრული გადამზადება გერმანიაში, „Airbus Helicopters“-ის სასწავლო აკადემიაში გაიარა.

2022 წლის 19 დეკემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროში ხელშეკრულება გაფორმდა ფრანგულ კომპანია „Airbus Helicopters “-თან სამი „H 145“ ვერტმფრენის შეძენასთან დაკავშირებით.

## ვახტანგ გომელაური პოლიციის აკადემიაში გამართულ ძიუდოს შიდა ტურნირს დაესწრო

აღნიშნული ტურნირი ძიუდოს საერთაშორისო წესების მიხედვით, სხვადასხვა წონით კატეგორიაში გაიმართა და გამარჯვებულები საქართველოს ძიუდოს ფედერაციის მსაჯთა კოლეგიამ გამოავლინა.

შინაგან საქმეთა სამინისტრო ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისა და თანამშრომელთა წახალისების მიზნით, სხვადასხვა სახის სპორტულ ღონისძიებას პერიოდულად მართავს.

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, მოადგილეებთან – იოსებ ჭელიძესთან, გიორგი ბუთხუზთან და ალექსანდრე დარახველიძესთან ერთად, პოლიციის აკადემიაში, ძიუდოს შიდა ტურნირს დაესწრო. ტურნირს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელი პირები და თანამშრომლებიც ესწრებოდნენ.

ძიუდოს შიდა ტურნირში, შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურული დანაყოფის 170-მდე თანამშრომელი მონაწილეობდა.

## ვახტანგ გომელაურმა და საბერძნეთის რესპუბლიკის ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის მინისტრმა მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური ოფიციალური ვიზიტით საბერძნეთის რესპუბლიკაში იმყოფება. ვიზიტის ფარგლებში, ვახტანგ გომელაურმა, მოადგილე ალექსანდრე დარახველიძესთან ერთად, შეხვედრა გამართა საბერძნეთის რესპუბლიკის ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის მინისტრ ქრისტოს სტაიკურასთან.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, ვახტანგ გომელაურმა და ქრისტოს სტაიკურასმა მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმებას მოაწერეს ხელი.

შეთანხმების ხელმოწერას საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში – ლევან ბერიძე და პოლიციის ატაშე საბერძნეთის რესპუბლიკაში – შოთა ხურციძე ესწრებოდნენ.

შეთანხმების ამოქმედების შემდგომ, მხარეთა მიერ გაცემული მოქმედი მართვის მოწმობის მფლობელები, თეორიული ან პრაქტიკული გამოცდის ჩაბარების გარეშე შეძლებენ მიიღონ თანაბარი ძალის მქონე მართვის მოწმობა იმ სახელმწიფოში, რომელიც მათ კანონიერ საცხოვრებელს წარმოადგენს.

შეთანხმებით განსაზღვრულია იმ სატრანსპორტო საშუალების კატეგორიები/ქვეკატეგორიები, რომელთა სამართავად გაცემული მართვის მოწმობები ექვემდებარებიან გადაცვლას, კერძოდ, AM, A1, A2, A, B1, B, BE, C1, C, D1, D1E, D, DE, CE და C1E კატეგორიების/ქვეკატეგორიების სამართავად გაცემული მართვის მოწმობების გადაცვლა თეორიული ან პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების გარეშე იქნება შესაძლებელი.

საქართველოს მთავრობასა და საბერძნეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის მართვის მოწმობების ურთიერთაღიარებისა და გადაცვლის შესახებ შეთანხმება მხარეთა მიერ შესაბამისი შიდა პროცედურების დასრულების შემდეგ შევა ძალაში.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ტიპის შეთანხმებები საქართველოს, ასევე, გაფორმებული აქვს ესპანეთის სამეფოსთან და ირლანდიასთან.

# სექსუალური ტრეფიკინგი, რეკეტი, შანტაჟი და ნარკოძალადობა – სკანდალი, რომელმაც მსოფლიო შეძრა

**პლანეტას არაერთი სკანდალი და ხმაურიანი საქმე ახსოვს, მაგრამ ის, რაც ჰოლივუდის ვარსკვლავებზე ამ დღეებში გახდა ცნობილი, შესაძლოა, ყველა დროის ყველაზე დიდ სკანდალად ჩაითვალოს. დიახ, ესაა საქმე, რომელზეც ყველა – დიდი თუ პატარა საუბრობს და ესაა საქმე, რომელზეც ამბობენ, რომ შესაძლოა, აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზეც კი იმოქმედოს. მაინც, რა მოხდა ჰოლივუდში? სექსუალური ტრეფიკინგი, რეკეტი, შანტაჟი, ძალადობა – მოკლედ ასე შეიძლება აღვწეროთ მომხდარი, თუმცა მოდით, ყველაფერს დაწვრილებით მივყვეთ. სხვათა შორის, საქმის ფიგურანტთა სიაში პოლიტიკოსებიც ფიგურირებენ. და მაინც, რა ხდება რეალურად და რას იძიებს შეერთებული შტატების საგამოძიებო უწყება?**

სკანდალის მთავარი გმირი ამერიკელი რეპერი პაფ დედია, რომელიც მხოლოდ მუსიკოსი არ არის, Paff Daddy – იგივე „დიდი“ გავლენიანი პროდიუსერიცაა, რომელიც შოუბიზნესში ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ის თანამშრომლობდა უამრავ ვარსკვლავთან, მათ შორის – მერაია ქერისთან, აშერთან, ჯასტინ ბიბერთან, მერი ჯეი ბლაიჯისა და სხვა არტისტებთან.

უფლებადამცველმა მედიას ის ბრალდებები გააცნო, რომელიც ტალია გრეივს, ცნობილი რეპერის, პაფ დედის წინააღმდეგ აქვს შეტანილი. დანაშაულების ჩამოთვლის დროს, მსხვერპლი ატირდა – 20 წლის წინ ჩადენილი ძალადობის კვალი გრეივის მენტალური ჯანმრთელობისთვის უკურნებელ სენად იქცა.

გამოცემა „გარდიანსი“ აქვეყნებს სარჩელის დეტალებს, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი, როგორ მიიყვანა მოტყუებით ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა რეპერმა და პროდიუსერმა ტალია საკუთარ სტუდიაში, გაუფრთხილებლად ჩაუყარეს მას ალკოჰოლურ სასმელში ნარკოტიკული საშუალებები და როდესაც ქალმა თვალი გაახილა, ის სრულიად შიშველი, ხელებშეკრული აღმოჩნდა P. Diddy-სა და მისი დაცვის თანამშრომლის, შერმანის წინაშე. ცემისა და სექსუალური ძალადობის შესახებ, მაშინ ქალს ხმამაღლა არაფერი უთქვამს, რადგან შვილზე მეურვეობის ჩამორთმევით დაემუქრნენ.

**„ეს არის ტკივილი, რომელიც სულის სიღრმემდე გტკივა და არასოდეს გტოვებს, ამ ტკივილში ყველაზე რთული არის სირცხვილისა და დანაშაულის გრძნობა, ეს ყველაფერი თავს გაუფასურებულად მაგრძნობინებს, გარიყულად. იმდენად იზოლირებული ვარ, რომ შიშები მაქვს სახლიდან გავიდე, ამ ტრავმამ გამიჩინა მენტალური პრობლემები, დეპრესია და შფოთვები, ნდობა დავკარგე ყველას მიმართ“,** – განაცხადა ტალიამ.

გრეივს გამბედაობა, რომ სარჩელი შეეტანა, აღმოაჩნდა მაშინ, როდესაც პაფ დედი დაიჭირეს. გამოძიება მისი ძალადობრივი ცხოვრების დეტალებით მას შემდეგ დაინტერესდა, რაც გასული წლის ნოემბერში, დიდის შეყვარებულმა, კესი ვენტურმა სარჩელი შეიტანა, თუმცა განხილვის დაწყებამდე, მან პროკურატურას უთხრა, რომ პარტნიორთან მოგვარდა და სარჩელი უკან გაითხოვა.

კესის წინააღმდეგ, გასულ წელს, დიდი და მისი გარემოცვა ავრცელებდნენ ხმებს, რომ ქალს, თითქოს, თანხის გამოძალვა სურდა და ამიტომ დასდო ბრალი, თუმცა ყველაფერი ნათელი CNN-ის ექსკლუზივის შემდეგ გახდა – ვიდეო სასტუმროს კამერებიდან ამოიღეს, სადაც აშკარად ჩანს, ფიზიკურად როგორ უსწორდება რეპერი კესის. მასალა 2016 წლითაა დათარიღებული, რაც ამყარებს ქალის მონათხრობს, რომ დიდი მასზე წლების განმავლობაში ძალადობდა. გავრცელებულ ვიდეოზე მძიმეა კესის მხრიდან სხვა ბრალდებები, რაც გულისხმობს ძალდატანებით ნარკოტიკების მიღებასა და სექსმუშაკებთან ურთიერთობის დამყარებას, რასაც დიდი, ასევე, ვიდეო კამერებით იღებდა.

რეპერის დაჭერის შემდეგ, თითქოს შიშის ფაქტორი გაქრა, რადგან კიდევ არაერთმა დაზარალებულმა ამოიღო ხმა. მათ შორისაა, პროდიუსერი ლილ როდიც. გავლენიანი მუსიკალური გამოცემა „როლინგ სთოუნსი“ აქვეყნებს ლილ როდისთან ინტერვიუს და 73-გვერდიანი სარჩელის დეტალებს, სადაც დიდის მხრიდან ლილ როდიზე ძალადობის ფაქტებია აღწერილი.

ლილ როდი ასევე ამხელს: ერთ ეპიზოდში, დიდმა დაიტრაბახა, რომ მას ცნობილ მომღერლებთან ჰქონია სექსუალური კავშირი, მათ შორის, აშერთან, რის შემდეგაც არქივიდან არაერთი ვიდეო გაიხსენეს სოციალურ ქსელებში. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ ვიდეოში ჩანს, რომ აშერი 48 საათით გადასცემს პაფ დედის ცნობილ მომღერალ ჯასტინ ბიბერს. „გადასცემს“ ნიშნავს, რომ დიდი 15 წლის ჯასტინთან დედი გაატარებს ორ დღეს. რა მოხდა იმ ორი დღის განმავლობაში, ეს გამოძიების საკითხია და ამაზე მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამენ, თუმცა ფაქტია, რომ ჯასტინ ბიბერის მენტალური მდგომარეობა მუდმივად ყურადღების ცენტრშია, მომღერალი ბევრს საუბრობს დეპრესიაზე, შფოთვებსა და შიშებზე, რომელიც თავს არ ანებებს. ოთხი წლის წინ არის ჩაწერილი ინტერვიუ, სადაც ჯასტინს ბილი ეილიშთან ურთიერთობის შესახებ ეკითხებიან. პასუხის დროს, ჯასტინს უჭირს ემოციების შეკავება.

ლეონარდო, ჯეიზი, ბიონსე, ჯეილო – სია ძალიან დიდია მათი, ვინც დიდის წვეულებებს ესწრებოდა. წვეულება ორი ნაწილისგან შედგებოდა, პირველი ოფიციალური იყო, რომელსაც ზოგჯერ მედიაც აშუქებდა და საქველმოქმედო ხასიათი ჰქონდა, თუმცა მისი ე.წ. აფთერ ფართი მოიხსენიება, როგორც „ფრიკოფ ფართები“, სადაც ამოღებული ნივთმტკიცებულებიდან გამომდინარე ნათელია, რომ სექსუალურ და ძალადობრივ აქტებს ჰქონდა ადგილი. ორგიებში ზოგი ნება-სურვილით მონაწილეობდა, უმეტეს შემთხვევაში კი, როგორც ამ დრომდე შეტანილ არაერთ სარჩელშია ნათქვამი – მოტყუებით მიღებული ნარკოტიკული საშუალებების გავლენით უწევდათ წვეულების მონაწილეებს დარჩენა. ტერაბაიტობით ვიდეო მასალაა ამოღებული დიდის სახლიდან.

სექს-ტრეფიკინგი, რეკეტების მოწყობა, პროსტიტუციაში ქალების იძულებით ჩათრევა, ასევე საერთაშორისო საზღვარზე ადამიანების გადმოყვანა და პროსტიტუციაში ჩათრევა – ეს არის ის ბრალდებები, რის გამოც დიდი დააკავეს. მან, გირაოს სახით, პროკურატურას 50 მილიონი და როგორც საკუთარი, ისე ოჯახის წევრების საბუთების ჩაბარება შესთავაზა, მაგრამ მოთხოვნა არ დაუკმაყოფილეს. დიდი უარს ამბობს საპყრობილეში საკვების მიღებაზე, რადგან, როგორც ამბობს, ეშინია, არ მოწამლონ.

*დასასრული მე-15 გვერდზე*

# ბიძინა ივანიშვილი: „შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, წინაარჩევნო რეგიონალურ შეხვედრებს, 2008 წლის აგვისტოს ომი მონაგონი იქნება!“

**„ქართული ოცნება“ განაგრძობს წინასაარჩევნო რეგიონალურ შეხვედრებს. ამჯერად, მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარემ, ბიძინა ივანიშვილმა თელავში შეკრებილ საზოგადოებას მიმართა:**

„მოგესალმებით, კახელებო, გილოცავთ ალავერდობას!

მივესალმები თელავს, გურჯაანს, ახმეტას, ყვარელს, სიღნაღს, ლაგოდეხს, საგარეჯოს, დედოფლისწყაროს!

მივესალმები აქ მცხოვრებ თუშებსა და ხევსურებს, მივესალმები პანკისელ ქისტებს, ჩვენს აზერბაიჯანელებს: ყარაჯალელებს, იორმუღანლოელებს, კაბალელებს; მივესალმები კახეთის მიწაზე მცხოვრებ ჩვენს სომხებს.

მოგესალმებით პატარა კახის, დიდი ერეკლეს შთამომავლებს, საქართველოს უანგარო პატრიოტებს!

კახეთი, ჩვენი ქვეყნის ეს დალოცვილი კუთხე, საქართველოს ძლიერების ერთ-ერთი მთავარი ფუნდამენტია. ასე იყო უწინაც, ასე არის ახლაც!

საუკუნეების განმავლობაში, ისტორიამ ჩვენი ქვეყნისთვის ბრძოლა გარგუნათ ბედად და თქვენც, პირნათლად ასრულებდით დაკისრებულ მოვალეობას, გმირულად იცავდით ჩვენს მიწა-წყალსა და სარწმუნოებას.

დღეს რომ საქართველო ცოცხალია და ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის, ამაში თქვენი ლომის წვლილია.

ისტორიულმა ქარტეხილებმა კახელებს მებრძოლი სული და უდრეკი ბუნება ჩამოგიყალიბათ, მაგრამ გენიალური ფიროსმანის პერსონაჟებივით ნათელ და ნამდვილ ადამიანებად დარჩით, კახური მრავალჟამიერივით ძარღვიან, ღირსეულ ქალებად და კაცებად!

„მამული, ენა, სარწმუნოება – სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?“ – წერდა ჩვენი ერის მამა, ამ კუთხის შვილი, ილია ჭავჭავაძე. კაცი, რომელმაც მთელი სიცოცხლე საკუთარი ქვეყნისა და ხალხისათვის ბრძოლას და მათ კეთილდღეობას მიუძღვნა.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ჩვენი სამშობლო და ხალხი მსგავსი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა დამოუკიდებლობის პირობებშიც, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე, როდესაც საქართველოს, ამ ქვეყნის შვილებისა და ყველაფერი ქართულის – ჩვენი ტრადიციების, ისტორიის, კულტურისა და რწმენის წინააღმდეგ, არც მეტი არც ნაკლები, საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლება

**„კახელები პირდაპირი ხალხი ხართ, მიკიბულ-მოკიბული საუბარი არ გიყვართ, ამიტომ მეც პირდაპირ გეტყვით – 26 ოქტომბერს, „ქართულ ოცნებას“ უნდა დაუჭიროთ მხარი!“**

იბრძოდა. ხელისუფლება, რომელსაც, წესით, ეს ყველაფერი უნდა დაეცვა, თუმცა უცხოელ პატრონებთან ერთად, ისინი პირიქით მოქმედებდნენ – ახალი ქართველის შექმნაზე მუშაობდნენ, ვისთვისაც უცხო იქნებოდა ის ეროვნული ფასეულობები, რომელზეც იზრდებოდნენ, იზრდებიან და მადლობა ღმერთს, მომავალშიც გაიზრდებიან ამ ქვეყნის შვილები.

ამ პროცესის ნაწილი იყო ჩვენი იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორის – ვაზისა და ქართული ღვინის წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია, თანაც სად?! ღვინის სამშობლოში, სადაც ღვინო საკრალური სასმელია. სადაც კახელმა კაცმა ურთულეს ვითარებაში, გაუთავებელი ომების ქარ-ცეცხლში გამოატარა თავისი მთავარი განძი და ფასეულობა – ქართული ვაზი და ცივილიზაციას შემოუნახა ღვინის დაყენების უნიკალური მეთოდი, რომელიც დღეს, იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაშია შეტანილი!

თუკი კახელის და, ზოგადად, ქართველი ადამიანის შეურაცხყოფა და დამცირება გინდა, მისი იდენტობის ამ ერთ-ერთ მთავარ ნაწილს უხეშად უნდა შეეხო. ყველაზე კარგად ეს იმ ხალხმა იცის, ვინც დღეს კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ სახეს წარმოადგენს და ქართული ღვინის წინააღმდეგ მიმართულ, შეურაცხმყოფელ კამპანიას დღესაც აგრძელებს.

შეუძლებელია არ გავიხსენოთ ის შემზარავი დრო, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმმა კახელი კაცი იძულებული გახადა, რომ შვილივით ნაზარდი ვაზი, ჩვენი ფესვი, ჩვენი სულიერი სიმტკიცის წყარო საკუთარი ხელით გაეჩეხა. შაჰ-აბასის შემოსევებს გადარჩენილი კახელი ადამიანი, ალბათ, ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ქართული ვაზის თანამედროვე მტრად პასპორტით ქართველი, გონებით კი უსამშობლო „ნაციონალური მოძრაობა“ მოევლინებოდა.

ღვინის სამშობლოში ამაზე უარესი თითქოს რაღა უნდა მომხდარიყო, რომ ქართველ კაცს, მით უმეტეს კახელს, ვაზის მოვლაზე აეღო ხელი, მაგრამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გაცილებით უარესიც შეძლო – ტერორითა და სიღარიბით დაძაბუნებულ ქვეყანას ომის უბედურება დაატეხა თავს.

უბედურება, რაც 2008 წლის აგვისტოში დატრიალდა, სწორედ მათ სინდისზეა. სწორედ „ნაციონალური მოძრაობაა“ პასუხისმგებელი ტრაგედიაზე, რაც ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის და ტერიტორიების დაკარგვის ფასად დაგვიჯდა!

ამ ხალხმა ჯერ წაგებული ომი აზეიმა მოსახლეობას, შემდეგ კი ცნობილ რეზოლუციაზე ხელმოწერით და ტალიავინის დასკვნაზე დათანხმებით, საომარი მოქმედებების დაწყება თავად აღიარა! დღეს, არც ერთი მათგანი არ ცდილობს სამშობლოს ღალატის უარყოფას, რადგან იმდენად ნათელია მათი ნამოქმედარი, რომ უტიფრობით ცნობილი ომის პარტიის წევრები თითქოს შეეგუვნენ საკუთარ ტერიტორიაზე ომის გაჩაღებაში მხილებას.

*დასასრული მე-5 გვერდზე*

# ბიძინა ივანიშვილი: „შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომი მონაგონი იქნება!“

*მე-4 გვერდიდან*

ამ დანაშაულის უგულებელყოფა და შესაბამისი რეაგირების გარეშე დატოვება შეუძლებელია. ჩვენი ქვეყანა ვერასოდეს გაიმართება წელში, თუ ამ ღალატს პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასება არ მიეცემა. როგორც აღვნიშნე, პოლიტიკურად მათ უკვე გაიფორმეს ომის დაწყების დანაშაული ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ხოლო როდესაც აღარ არსებობს არანაირი ხელის შემშლელი ფაქტორი საერთაშორისო სამართლებრივ ინსტიტუტებში, არჩევნებში გამარჯვებისა და საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემდეგ, მათი სამართლებრივი პასუხისმგებლობის პროცესი დაიწყება.

სწორედ ამიტომ, ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია, რომ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე, „ქართულმა ოცნებამ“ საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვოს და დღის წესრიგში დააყენოს „ნაციონალური მოძრაობის“ არაკონსტიტუციურად გამოცხადების, ამავდროულად კი უმკაცრესად გასამართლების საკითხი. პირობას გაძლევთ, რომ ამ პროცესს წინ ვერაფერი დაუდგება!

გარდა ამისა, ამ უსამშობლო ხალხმა ერთხელ და სამუდამოდ პასუხი უნდა აგოს წლების განმავლობაში ჩადენილ უმძიმეს დანაშაულებზე: საკუთარი მოქალაქეების წამებასა და მკვლელობაზე, ბიზნესის რეკეტზე, ქვეყანაში გამეფებულ კორუფციაზე. ქართულმა საზოგადოებამ უნდა მოიკვეთოს ეს პოლიტიკური სარკომა საკუთარი სხეულიდან, თუ გვინდა, რომ მოჯადოებულ, ჩაკეტილ წრეზე აღარ გავაგრძელოთ სიარული.

დღეს ყველა თვალნათლივ ვხედავთ, რომ ეს რადიკალური ძალა, მის გარშემო გაერთიანებული პოლიტიკური, არასამთავრობო თუ მედია-ორგანიზაციები უცხო ძალის ინტერესს ატარებენ და ცდილობენ, რომ საქართველო ომის უბედურებაში გახვიონ. შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, 2008 წლის აგვისტოს ომი მონაგონი იქნება! ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილი ძალები, ადგილობრივი აგენტურის ხელით, საქართველოს რუკიდან გაქრობას უპირებენ. ემზადებიან იმისთვის, რაც ვერც ერთმა დამპყრობელმა ვერ მოახერხა საუკუნეების მანძილზე!

ამის პატიება როგორ შეიძლება?! როგორ შეიძლება, ამაზე საკადრისი პასუხი არ მოვთხოვოთ ხალხს, რომელთა მთავარი მიზანი ხელისუფლებაში ნებისმიერ ფასად დაბრუნება და საქართველოს ომის ქარ-ცეცხლში გახვევაა?! ჩვენი ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ დღეს კახელ გლეხს შრომა უფასდება და მის მოსავალს რისკებისგან ვაზღვევთ, რომ ყურძნის ფასი გავზარდეთ და გასაღების მოშლილი, ტრადიციული ბაზრები აღვადგინეთ, რომ მევენახეობისა და მეღვინეობის დარგის განვითარებაზე ვზრუნავთ და ამ მადლიან კუთხეში არცერთი გოჯი მიწა აღარ რჩება დაუმუშავებელი, რადგან ნიჭიერ, გამრჯე ხალხს საკუთარი შრომით ღირსეული შემოსავლის მიღების საშუალება მიეცათ. თავს ვიწონებთ იმით, რომ კახელი კაცი დღეს წელშია გამართული, რადგან იცის – სახელმწიფო უმაგრებს ზურგს და მისი შრომა ფასდება, მთელი რიგი შეღავათებითა და სახელმწიფო პროგრამებით კი მაქსიმალურად ვუწყობთ ხელს.

თავს ვიწონებთ იმით, რომ 2012 წლიდან მოყოლებული, კახეთმა ახალი სიცოცხლე შეიძინა; მოწესრიგდა და განვითარდა ინფრასტრუქტურა, ვაშენებთ საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალებს და აეროპორტს, რამაც ამ კუთხის საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის ზრდას შეუწყო ხელი. უძველესი ისტორიის, კულტურისა და ულამაზესი ბუნების მქონე კახეთი საოცრად მიმზიდველი გახდა, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების მოქალაქეებისთვის და ამ კუთხის ტურისტული პოტენციალი არნახულად გაიზარდა.

რთველის შემდეგ, კახელები წლის მოსავალს ლოცავთ. ყოველივე ზემოთქმული, რაზეც ვისაუბრე, მათ შორის ის, რომ დღეს სახელმწიფოს ამოსავალი წერტილი ადამიანია, ის, რომ თქვენი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია, ის, რომ ერთად ავაშენეთ ქვეყანა, რომელშიც დაცულია ადამიანის ყველა უფლება, აზრისა და სიტყვის თავისუფლება, გვაქვს გაჯანსაღებული სასამართლო, დამოუკიდებელი მედია, ხელშეუხებელი ბიზნესი და დემოკრატიაზე, სამართლის უზენაესობასა დაადამიანის ღირსების პატივისცემაზე დამყარებულ ქვეყანაში, თავისუფლად ვცხოვრობთ, სწორედ ის საშვილიშვილო მოსავალია, რომელსაც 2012 წლის 1 ოქტომბერს, ერთად ჩავუყარეთ საფუძველი. მოსავალი, რომელსაც მოვუარეთ, ვზრდიდით და მის შედეგებს, კეთილდღეობისა და მშვიდობის სახით, დღეს საკუთარ თავზე ვიმკით.

ამ ყველაფერს ჩვენი შრომით, ერთად მივაღწიეთ და რა თქმა უნდა, შეჩერებას არ ვაპირებთ!

მომავალშიც, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარება და კეთილდღეობა ყველა თქვენგანმა, საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავზე იგრძნოს, ამავდროულად, საბოლოოდ დავასრულებთ სხვადასხვა, მათ შორის, უცხოური ძალების მიერ ჩვენი მოსახლეობისთვის ფსევდო-ღირებულებების თავს მოხვევის ძალადობრივ მცდელობებს, რაც ოჯახის, ეროვნულობის, რწმენისა და საქართველოს სუვერენიტეტის წინააღმდეგაა მიმართული!

დღეს ჩვენ ჩართულნი ვართ არა მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიაში, არამედ, ბრძოლაში მშვიდობის, ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტის, ჩვენი ტრადიციებისა და ფასეულობების დასაცავად, ამ ბრძოლის მთავარი ასპარეზი კი 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებია.

ესაა ბრძოლა ჩვენი დიდი ხნის ნატვრის ასასრულებლადაც – კვლავ გაერთიანებული ვიხილოთ ჩვენი სამშობლო, თუმცა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით, შერიგებისა და ურთიერთშენდობის საფუძველზეა შესაძლებელი!

ამ საკითხთან დაკავშირებით, უცხო ქვეყნების აგენტებისა და კოლექტიური „ნაციონალური მოძრაობის“ დამოკიდებულება ნათლად გვიჩვენებს მათ რეალურ მიზანს – საქართველო მუდმივი კონფლიქტისა და დაპირისპირების რეჟიმში იყოს. სწორედ ამიტომ, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის მზადება, პირველ რიგში, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაზე გადის.

26 ოქტომბერს, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, „ქართული ოცნების“ გუნდს გვაქვს მზაობა, რომ საჭირო მომენტში, ქვეყანა საკონსტიტუციო მოწყობის ისეთ მოდელზე გადავიყვანოთ, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავიხდინოთ ჩვენი მრავალწლიანი ოცნება – კვლავ ვიხილოთ ერთიანი და ძლიერი საქართველო!

დასასრულს, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რასაც საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში, აუცილებლად დავაყენებთ დღის წესრიგში – მზად ვართ, გადავდგათ კონკრეტული ნაბიჯები მართლმადიდებელი ეკლესიის დაცვისა და გაძლიერების მიმართულებით და მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი საქართველოს კონსტიტუციაშიც ავსახოთ!

თუმცა, ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს კონსტიტუციაში მართლმადიდებელი ეკლესიის როლის გამოკვეთით, რომელიმე რელიგიურ კონფესიას რამე ტიპის პრობლემა შეიძლება შეექმნას; პირიქით, ჩვენი ქვეყანა სწორედ იმით არის გამორჩეული, რომ სხვადასხვა აღმსარებლობის ხალხს ერთმანეთის რელიგიის უდიდესი პატივისცემა გვაქვს, სახელმწიფო კი თანაბრად ზრუნავს თითოეულ მოქალაქეზე, განურჩევლად მისი ეროვნებისა და აღმსარებლობისა. საქართველოში მოქმედი კონფესიების დაცვისა და თავისუფლების გარანტი, როგორც დღემდე, შემდგომშიც, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება იქნება!

თქვენი, კახელების ხმა კოსმოსში ისმის და დარწმუნებული ვარ, ხმამაღლა გაისმება 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზეც, სადაც ქუდზე – კაცი გამოხვალთ და უალტერნატივო არჩევანს გააკეთებთ: ომსა და მშვიდობას, ფსევდო-ლიბერალურ ღირებულებებსა და ეროვნულობაზე, ოჯახზე, რწმენასა და დამოუკიდებლობაზე დაფუძნებულ ფასეულობებს შორის, ჩვენი ქვეყნის ღირსეულ ევროპულ მომავალსა და იმ მიუღებელ მოცემულობას შორის, რაც რადიკალურ ოპოზიციას და უცხოელ აქტორებს ევროპულობად სურთ რომ გაასაღონ.

კახელები პირდაპირი ხალხი ხართ, მიკიბულ-მოკიბული საუბარი არ გიყვართ, ამიტომ მეც პირდაპირ გეტყვით – 26 ოქტომბერს, „ქართულ ოცნებას“ უნდა დაუჭიროთ მხარი! მწამს, რომ ერეკლე მეფის მაგინებლების ადგილი ჩვენს საზოგადოებაში არ არის. სწორედ, ერეკლე მეფის ღირსებისთვის, მისი სახელით, უმკაცრესი პასუხი უნდა გასცეთ კოლექტიურ „ნაციონალურ მოძრაობას!“

მხოლოდ მშვიდობით, მხოლოდ ღირსებით და კეთილდღეობით – ევროპისკენ! მრავალჟამიერ ისმოდეს ჩვენი კეთილი, უტეხი ხმა ჩვენს ქვეყანასა და მთელს მსოფლიოში!“

# სახლები დუშეთსა და თბილისში, მიწის ნაკვეთები დუშეთში – რა ქონებას ფლობს „პლასტელინივით კაცი“

მაკა რუხაძე

**რამდენიმე დღის წინ, კოალიციას „ძლიერი საქართველო – ლელო ხალხისთვის“ შეუერთდა საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი – „პლასტელინივით კაცი“, როგორც თვითონ განაცხადა წლების წინ. ჰოდა, თუ დავუჯერებთ, რომ მართლაც „პლასტელინია“, სულ პირველად, მისგან პოლიტიკოსის გამოძერწვა ზურაბ ჟვანიამ დაიწყო, ოღონდ სულ ცოტა ხნით; წლების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილმა განაგრძო ძერწვა და ჯერ განათლების მინისტრად მოგვევლინა, მერე – ქვეყნის პრეზიდენტად, 2018 წლამდე... ამჯერად, მამუკა ხაზარაძის „სახელოსნოში“ მოხვდა და ვნახოთ, შეძლებს თუ არა ყოფილი ბანკირი მისგან პოლიტიკოსის „გამოძერწვას“. მანამდე, „ვერსია“ გიორგი მარგველაშვილის ქონებრივ დეკლარაციას გთავაზობთ, ოღონდ მანამდე, მისი ბიოგრაფია გავიხსენოთ.**

## გიორგი მარგველაშვილის ქონებრივი დეკლარაცია

### ექს-პრეზიდენტის ბიოგრაფია

ქართველი პოლიტიკოსი და ფილოსოფოსი, გიორგი მარგველაშვილი დაიბადა 1969 წლის 4 სექტემბერს, თბილისში, მამის, ინჟინერ თეიმურაზ მარგველაშვილისა და დედის, ფსიქოლოგ მზეანა გომელაურის ოჯახში. დაამთავრა თბილისის პირველი საჯარო სკოლა, თუმცა სწავლობდა რუსულ სკოლაში, სირიაში, სადაც მისი მშობლები სამსახურეობრივ მივლინებაში იმყოფებოდნენ. 1987-1992 წლებში, სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქვს პედაგოგის სერტიფიკატი. 1993-1994 წლებში, სწავლობდა ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (Central Euroean University), დიპლომის შემდგომ კურსზე სოციოლოგიაში (პრაღა, ჩეხეთი).

1992-1995 წლებში, მუშაობდა ტურისტული კომპანიაში სამთო ტურიზმის გიდად; 1994-1995 წლებში – „ბიზნეს დღიურების“ მარკეტინგის დეპარტამენტის უფროსად; 1996-1997 წლებში იყო თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის ლექტორი ფილოსოფიასა და კულტურაში, ხოლო 1995-2000 წლებში – საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის ადგილობრივი ხელმძღვანელობის სპეციალისტი, პროგრამის კონსულტანტი; 1998 წელს მიენიჭა დოქტორის ხარისხი ფილოსოფიაში; 2000-2006 და 2010-2012 წლებში, იყო საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი; 2006-2010 წლებში – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კვლევითი დეპარტამენტის უფროსი.

მარგველაშვილი, პირველად, პოლიტიკურ ასპარეზზე 2003 წელს გამოჩნდა, როდესაც ზურაბ ჟვანიას მოწვევით, შეუერთდა ოპოზიციურ ბლოკს „ბურჯანაძე-დემოკრატები“. იგი პარტიის საარჩევნო სიის ათეულში შედიოდა. თუმცაღა ვარდების რევოლუციის შემდეგ, რომელიც არჩევნების გაყალბებას მოჰყვა, „ბურჯანაძე-დემოკრატები“ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ გაერთიანდა, ხოლო მარგველაშვილმა დატოვა პოლიტიკა.

2011 წლიდან უკვე აქტიურად ჩაერთო პოლიტიკაში. გამოდიოდა ბიძინა ივანიშვილისა და „ქართული ოცნების“ მხარდამჭერად. საპარლამენტო არჩევნებში კოალიციის გამარჯვების შემდეგ, 2012 წლის 25 ოქტომბერს, დაინიშნა განათლების მინისტრად; 2013 წლის თებერვალში, დაინიშნა პირველ ვიცე-პრემიერად. 2013 წლის ოქტომბრის პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელების გამო, საკუთარი სურვილით დატოვა თანამდებობა. 2013 წლის 11 მაისს, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელა. არჩევნებში მონაწილეობის გამო, გიორგი მარგველაშვილმა დატოვა მინისტრის პოსტი 2013 წლის 18 ივლისს. 27 ოქტომბერს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში, მან ხმათა 62% მიიღო და არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტად.

### მარგველაშვილის ქონება

ქონებრივი დეკლარაცია გიორგი მარგველაშვილმა, ბოლოს, 2019 წლის 7 აგვისტოს ჩააბარა. დეკლარაციაში მითითებულია, რომ ჰყავს მეუღლე – მაკა ჩიჩუა და ორი შვილი – თეიმურაზი და თომა. დეკლარაციაში მითითებული არ არის მისი უფროსი ქალიშვილი – ანა, პირველი ქორწინებიდან, რადგან სრულწლოვანია და ცალკე ცხოვრობს.

დეკლარაციიდან ირკვევა, რომ გიორგი მარგველაშვილის 100%-იან საკუთრებაშია 4 462 კვ. მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელიც 2004 წელს. 11 000 აშშ დოლარად შეუძენია. თუმცა, იქვე განმარტებულია, რომ სინამდვილეში, სხვადასხვა დროს, რამდენიმე მიწის ნაკვეთი შეიძინა და ერთ ნაკვეთად გააერთიანა. დუშეთშივე, იმავე მისამართზე, გიორგი მარგველაშვილის 100%-იან საკუთრებაშია 200 კვ. მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი, რომელიც იმავე წელს – 2004-ში შეუძენია და 2 500 აშშ დოლარი გადაუხდია.

გარდა ამისა, გიორგი მარგველაშვილის საკუთრებაშია 120 კვ. მეტრი ფართობის ბინა თბილისში, პაოლო იაშვილის ქუჩაზე, რომელიც 2009 წელს, 3 000 აშშ დოლარად შეუძენია. მისივე საკუთრებაშია კიდევ ერთი, 40 კვ. მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლი დუშეთში, რომელიც 2016 წელს, 10 000 ლარად იყიდა. მეუღლის, მაკა ჩიჩუას საკუთრებაშია 70 კვ. მეტრი ფართობის ბინა თბილისში, ლერმონტოვი-ჯაფარიძის ქუჩაზე, რომელიც 2002 წელს, 15 000 ლარად შეიძინა.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, გიორგი მარგველაშვილის ანგარიშზე, თიბისი ბანკში, ირიცხება 5 147 ლარი და 7 555 ევრო, ხოლო მაკა ჩიჩუას ანგარიშზე, ქართუ ბანკში – 1 377 ლარი.

ქონებრივი დეკლარაციიდან ვიგებთ, რომ გიორგი მარგველაშვილის, როგორც საქართველოს პრეზიდენტის წლიური შემოსავალი 79 185 ლარი ყოფილა, ხოლო მის მეუღლეს, როგორც ტელეკომპანია „იმედის“ პროექტ „ნიჭიერის“ ჟიურის წევრს – 6 250 ლარის შემოსავალი მიუღია.

# ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოვლენილ დარღვევებს პროკურატურა სწავლობს

მაკა რუხაძე

**„ვერსია“ აგრძელებს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იმ ანგარიშების გამეორებას, რომლებიც უწყებამ გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. ამჯერად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის აუდიტორულ ანგარიშს გთავაზობთ, თუმცა აუცილებლად უნდა შეგახსენოთ, რომ ქობულეთისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებში გამოვლენილი დარღვევები „ვერსიაში“ უკვე გავიხსენეთ. ანგარიში, რომელსაც ახლა გთავაზობთ, 2021-2022 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტია. როგორც მოსალოდნელი იყო, სახელმწიფო აუდიტორებმა მთელი რიგი ნაკლოვანებები გამოავლინეს, მათ შორის, ბიუჯეტის შესრულებაში, სახელმწიფო შესყიდვებში, მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობაში, შრომის ანაზღაურებასა და ტრანსპორტის ხარჯებში. დარღვევების დეტალურად განხილვის შემდეგ, დარწმუნდებით, რატომ მოხვდა ეს ანგარიში გენერალურ პროკურატურაში.**

## სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

### დარღვევები ბიუჯეტის შესრულებაში

სახელმწიფო აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების შესაბამისად, აუდიტის პერიოდში, შემოსულობების გეგმა – 102 722 342 ლარით, ხოლო გადასახდელების – 107 466 404 ლარით განისაზღვრა. 2021-2022 წლებში, ბიუჯეტის შემოსულობების გეგმიური მაჩვენებელი ჯამურად 89.1%-ით, ხოლო გადასახდელების – 86.4%-ით შესრულდა.

**„შეუსრულებლობა, ძირითადად, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიღებულმა ეკონომიამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიუღებელმა 9 452 347 ლარმა განაპირობა. აღნიშნული ტრანსფერის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემა შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოების პროპორციულად ხორციელდება. შესაბამისად, შემოსულობებისა და გადასახდელების შეუსრულებლობის მიზეზი არასწორად დაგეგმილი და განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებია.**

**კერძოდ, 2021-2022 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი 2 697 231 ლარიდან ათვისებულია მხოლოდ 1 488 272 ლარი ანუ 55.2%, რაც იმის შედეგია, რომ შემსრულებელმა კომპანიამ ვალდებულება დროულად არ შეასრულა“,** – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ შემსრულებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შეწყვეტილია რვა ხელშეკრულება, რის შედეგადაც ბიუჯეტით გამოყოფილი 3 131 128 ლარიდან, ათვისებულია მხოლოდ 332 386 ლარი ანუ 10.6%. ადგილობრივი ბიუჯეტის საბალანსო მონაცემების შესაბამისად, 2021 წელს ნაშთის ცვლილების გეგმური მაჩვენებელი 7.5%-ით, ხოლო 2022 წელს 56.8%-ით შესრულდა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2021-2022 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ბიუჯეტის შემოსულობების გეგმური მაჩვენებელი ჯამურად 89.1%-ით, ხოლო გადასახდელების – 86.4%-ით შესრულდა. ამასთან, ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული თავისუფალი საბიუჯეტო სახსრები არასრულადაა გამოყენებული. ყველაფერი ეს, მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვასა და სხვადასხვა პროექტის დაგეგმვის ხარვეზებზე მიუთითებს.

### ხარვეზები სახელმწიფო შესყიდვებში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების სათანადო დაგეგმვა-განხორციელებას, რაც შესყიდული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გონივრულ ვადაში გამოუყენებლობასა და მათში არსებულ ხარვეზებში გამოიხატება. შედეგად, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები ვერ განხორციელდა.

**„ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა კონტროლის სისტემამ ვერ უზრუნველჰყო სათანადო ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობების მქონე მიმწოდებლების შერჩევა, რამაც მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების შეჩერება განაპირობა. ამასთანავე, ვალდებულებების შეუსრულებლობისა და საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად, ავანსად გაცემული თანხის დასაბრუნებლად მუნიციპალიტეტს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია“.**

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ვინაიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში დანერგილი შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების სათანადო დადასტურებას, ოთხ შემთხვევაში, ვერ მიიღეს რწმუნება შესყიდული სამუშაოსა და მომსახურების სახელშეკრულებო პირობებთან შესაბამისობის შესახებ.

### დარღვევები მუნიციპალური აქტივების მართვაში

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქობულეთის მუნიციპალიტეტს ბალანსზე ერიცხებოდა 374 264 476 ლარის ღირებულების აქტივები მათ შორის, 361 155 345 ლარის – ძირითადი აქტივი და 8 641 484 ლარის – სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივი.

**„ათი ინფრასტრუქტურული პროექტის სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული იყო არსებული აქტივების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი სამშენებლო მასალისა და სხვა დაუზიანებელი აქტივის დასაწყობება. შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით, ქონება დასაწყობებულია, თუმცა მათი ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა და არც მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ ასახულა. ამასთან, მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარადგინა ინფორმაცია ვარგისი ქონების განთავსების ლოკაციების თაობაზე.**

**მოპოვებული ინფორმაციით, 2022 წელს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული 192 203 655 ლარის აქტივების, მოთხოვნების და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, რის გამოც აქტივები და ვალდებულებები არ შემოწმებულა და არც მათი აღრიცხვის სისწორე დადგენილა“.**

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2021 წელს, ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 14 დასახელების, 12 143 ლარის ნარჩენი საბალანსო ღირებულების ავტოსატრანსპორტო საშუალებების დანაკლისი, თუმცა წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ინვენტარიზაციის შედეგებზე რეაგირება არ მომხდარა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ 2022 წელს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და მუნიციპალურ ორგანიზაციებს, მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, არ ჩაუტარებიათ ბალანსზე რიცხული 192 203 655 ლარის აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, არ არის შესრულებული მოთხოვნები იჯარით გაცემული ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებით და არ არის აღრიცხული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების დროს ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივები. ყველაფერი ეს, სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, საჯარო აქტივების მართვაში არსებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

### ხარვეზები მშენებლობის სახელმწიფო ზედამხედველობაში

აუდიტის პერიოდში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემულია 242 სამშენებლო ნებართვა, მათ შორის, 214 შემთხვევაში ნაბართვა

*დასასრული მე-8 გვერდზე*

# ქობულეთის მუნიციპალიტეტში გამოვლენილ დარღვევებს პროკურატურა სწავლობს

*მე-7 გვერდიდან*

გაცემულია ახალ მშენებლობაზე, 11 შემთხვევაში – მშენებლობის ცვლილებასა და 17 შემთხვევაში – შენობის დემონტაჟზე. სახელმწიფო აუდიტორებისთვის მიწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, 2021-2023 წლებში, ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოვლენილია უნებართვო მშენებლობის 30 შემთხვევა, რის გამოც მშენებლობის მწარმოებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირები დაჯარიმდნენ 93 000 ლარით, საიდანაც 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, გადახდილია 53 590 ლარი ანუ ჯარიმის 57.6%.

**„აუდიტის ჯგუფმა შერჩევითი წესით შეისწავლა ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების კანონიერება. შესწავლის შედეგად, გამოვლინდა ოთხი უნებართვო მშენებლობა, რომელთან დაკავშირებით, ქობულეთის ზედამხედველობის სამსახურის მიერმიღებულია დადგენილებები, მშენებელი პირების მიმართ საჯარიმო სანქციების დაკისრებისა და უკანონოდ აშენებული შენობების დემონტაჟის შესახებ, თუმცა აღნიშნული ღონისძიებები, პრაქტიკულად, არ განხორციელებულა.**

**კერძოდ, ქალაქ ქობულეთში, თამარ მეფის სანაპირო №52-ისა და №54-ის, ასევე, დავით აღმაშენებლის გამზირის №279-ის მიმდებარედ, დაფიქსირდა კაფე-ბარების უნებართვო მშენებლობები. სამივე შემთხვევაში, მშენებლობა განხორციელებულია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომლითაც აღნიშნული პირები სარგებლობდნენ მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული საიჯარო ხელშერკულების საფუძველზე. ამასთან დაკავშირებით, 2023 წლის ივლისში, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებულია დადგენილებები, მშენებელი პირების დაჯარიმებისა და უკანონოდ აშენებული შენობების დემონტაჟის შესახებ, თუმცა დათვალიერების თარიღისათვის შენობების დემონტაჟი არ იყო განხორციელებული“.**

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ქობულეთის მერიის მიერ, უკანონო მშენებლობების აღკვეთის მიზნით გატარებულმა ღონისძიებებმა ვერ შეაჩერა უნებართვო მშენებლობები და ვერც სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უკანონო გამოყენება აღკვეთა, რაც ქალაქ ქობულეთის ტერიტორიაზე მშენებლობების ზედამხედველობასთან დაკავშირებული შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

## ხარვეზები შრომის ანაზღაურებაში

ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2021-2022 წლების ადგილობრივი ბიუჯეტების შესაბამისად, შრომის ანაზღაურების ფონდი ჯამში – 5 090 543 ლარით განისაზღვრა. ამავე პერიოდში, შრომის ანაზღაურების სახით გახარჯულია 5 041 755 ლარი, რაც საბიუჯეტო გეგმის 99%-ია. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა მიერ მიღებული თანამდებობრივი სარგოს და ფაქტობრივად ნამუშევარი დროის შესაბამისობის დადგენის მიზნით დანერგილი კონტროლის მექანიზმები არ ფუნქციონირებს.

**„კერძოდ, არ წარმოებს თანამშრომელთა სამსახურში გამოცხადების აღრიცხვა. ამასთან, აუდიტის პერიოდში, მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებში არ მიმდინარეობს სამუშაო დროის გამოყენებისა და ხელფასის გაანგარიშების აღრიცხვის ტაბელის წარმოება. ხელფასების დარიცხვა ხდება მხოლოდ საშტატო განრიგის საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ სრული განაკვეთით დასაქმების პირობებში, 26 თანამშრომელი, რომელთა ანაზღაურებამ 2021-2022 წლებში, 148 195 ლარი შეადგინა, პარალელურად ირიცხებოდნენ მუნიციპალიტეტის სხვა დაწესებულებების მუშაკებად, სადაც შრომის ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ 137 202 ლარი. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება მათ მიერ სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენებასთან დაკავშირებით“.**

ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად გამოვლინდა, რომ რიგი თანამშრომლების ხელფასები – სულ 2 249 ლარი, არასწორად გადაერიცხათ სხვა თანამშრომლებს. სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, არასწორად გადარიცხული ხელფასები თანამშრომლებს შორის პირადი ანგარიშსწორებით დარეგულირდა და მათი სათანადო აღრიცხვა არ განუხორციელებიათ.

სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ფაქტობრივად ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემა. გამოვლინდა შრომის ანაზღაურების არასწორად გაცემისა და 24 122 ლარის მითვისების ფაქტები. აღნიშნული გარემოებები, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვასთან მიმართებით, არსებული კონტროლის მექანიზმების არსებით სისუსტეზე მიუთითებს და არამართლზომიერი ქმედებების რისკებს შეიცავს.

## დარღვევები ტრანსპორტის ხარჯებში

2021-2022 წლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის, ასევე, მათი მოვლა-შენახვის საკასო ხარჯებმა შეადგინა 2 685 338 ლარი. ამავე პერიოდში, მუნიციპალიტეტის ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე საწვავის ხარჯვა ხორციელდებოდა აგაი (ავტომანქანის გამართვა და ავტომატური იდენტიფიცირება) სისტემის გამოყენებით. ჯამში, გახარჯულია 469 962 ლარის საწვავი, მათ შორის, ბალანსზე რიცხულ 18 ერთეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაიხარჯა 307 788 ლარის საწვავი, ხოლო საჯარო მოხელეების პირად საკუთრებაში არსებულ 21 ერთეულ ავტოტრანსპორტზე – 162 174 ლარის საწვავი.

**„ტრანსპორტთან დაკავშირებული დანახარჯების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ არასათანადო კონტროლია დაწესებული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების სარგებლობაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გამოყოფილი საწვავის ხარჯვის საკითხზე. ამასთან დაკავშირებით, ვერ იქნა წარმოდგენილი გაცემული საწვავის სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისთვის ხარჯვის დოკუმენტური დადასტურება. ჩატარებული აუდიტით გამოვლინდა რიგი შემთხვევები, როდესაც უფლებამოსილი პირები არ იმყოფებოდნენ მივლინებაში, თუმცა ავტომანქანა დაფიქსირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულ შემთხვევებზე ვერ იქნა წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამსახურებრივი ავტომობილის ყოფნის აუცილებლობის დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულება“.**

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველჰყოფს საწვავის მიზნობრივად ხარჯვის დოკუმენტურ დადასტურებას, რის გამოც ვერ მიიღეს რწმუნება აუდიტის პერიოდში 52 070 ლიტრი საწვავის სამსახურებრივი დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

## რეკომენდაციები

მას შემდეგ, რაც ხარვეზები და დარღვევები გამოავლინეს, მათ გამოსასწორებლად, სახელმწიფო აუდიტორებმა გარკვეული რეკომენდაციებიც შეიმუშავეს. კერძოდ, ქობულეთის მუნიციპალიტეტმა არსებული ფაქტობრივი გარემოებების სიღრმისეული შესწავლისა და ანალიზის შედეგების შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველჰყოს პროგრამების საბიუჯეტო პარამეტრების განსაზღვრა და მათი შესრულება. ამასთან, მნიშვნელოვანია საბიუჯეტო რესურსის დროული და ეფექტიანი გამოყენება, რაც შესაძლებელს გახდის მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული პროგრამების შემუშავებას და განხორციელებას.

**„ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ, საჯარო ქონების ეფექტიანი მართვის უზრუნველსაყოფად, უნდა ჩაატაროს აქტივებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, მუნიციპალური ქონების დემონტაჟის შედეგად მიღებული ვარგისი მატერიალური აქტივების შეფასება და ბალანსზე ასახვა. ამასთან, შეიმუშაოს კონტროლის მექანიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს იჯარით გაცემული ქონების სრულად აღრიცხვას და საიჯარო ხელშეკრულებების პირობების შესრულების სათანადო მონიტორინგს.**

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა დანერგოს შიდა კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველჰყოფს უნებართვო მშენებლობის პრევენციას, ასევე, მიმდინარე უნებართვო მშენებლობების დროულად გამოვლენას და სათანადო რეაგირებას. ამასთან, შეისწავლოს ქალაქის ტერიტორიაზე მიმდინარე უნებართვო მშენებლობების ფაქტები, განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები და გაატაროს სამართლებრივი ღონისძიებები“.**

გარდა ამისა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიამ უნდა შეიმუშაოს და პრაქტიკაში დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კომერციული იურიდიული სტრუქტურების საქმიანობის სათანადო ზედამხედველობით, მათი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად წარმართვას. ამასთან, უნდა შეისწავლოს შრომის ანაზღაურების თვითნებურად გაზრდის ფაქტები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

# სამართალი

№32 2 ოქტომბერი 2024 წ


# ორსულმა ქალმა ქმრის საყვარელზე შური იძია

## რატომ დაიჭირეს დაზარალებულის და და როგორ გაირკვა სიმართლე


ბათო ჯაფარიძე


**საცხოვრებელი ფართის გამო სასამართლო პროცესები თუ ხელჩართული ჩხუბი არც ახლა არის იშვიათობა. ზოგადად, დიდი ბინისთვის ადამიანები ათას რამეს იგონებდნენ, ძალიან ხშირად, ფიქტიურ განქორწინებასაც კი, რადგან კომუნისტების დროს, ასეთ შემთხვევაში, განქორწინებულ ადამიანს კიდევ ეკუთვნოდა საცხოვრებელი ფართი. დღეს კი ძალიან რთულია მხოლოდ ხელფასით ბინა შეიძინო და საცხოვრებელ ფართს ახალგაზრდები ძირითადად მშობლებისგან მემკვიდრეობით იღებენ. არადა, თითქოს სხვა რეალობა გვაქვს, უამრავი კორპუსი შენდება და თითქმის ყველგან ბინები იყიდება, თუმცა როგორც დეველოპერები ამბობენ, ბინებს ან უცხოელები ყიდულობენ, ან ემიგრანტები, რომლებიც თვიდან თვემდე რიცხავენ კონკრეტულ თანხას კომპანიის ანგარიშზე და ბინის შეძენას წლებს ანდომებენ.**

სამართალდამცავებმა ახალგაზრდა ქალი დააკავეს, რომელსაც ბრალი დაზე თავდასხმაში ედებოდა. ყველაფერი კი მას შემდეგ დაიწყო, რაც განყოფილებაში მოქალაქემ დარეკა, რომელიც ძაღლს ასეირნებდა.

„მე გვერდით კორპუსში ვცხოვრობ და დებს კარგად ვიცნობ. ძაღლს ვასეირნებდი და იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ ბნელოდა, დავინახე, როგორ დაჰყურებდა ერთ-ერთი და რაღაც გროვას, შემდეგ კი იქაურობას აჩქარებული ნაბიჯით გაეცალა. როცა ადგილამდე მივედი, დავინახე, მიწაზე ვიღაც ქალი იწვა. არ დამიწყია ბევრი ფიქრი, სასწრაფოში დავრეკე, მათ კი თქვენ გამოგიძახეს. მერე გავიგე, რომ ქალი, რომელიც მიწაზე უგონოდ ეგდო, მეორე და ყოფილა. მართალია, არ დამინახავს, რა მოხდა, მაგრამ ეჭვი მაქვს, მთავარი დამნაშავე სწორედ და არის, თორემ რატომ არ გამოიძახებდა თავად სასწრაფოს და რატომ არ დაეხმარებოდა დას, რომელიც სიკვდილს ებრძოდა“, – განაცხადა მოქალაქემ, რომლის მონათხრობი და სავარაუდო ეჭვმიტანილზე აქცენტი ძალიან მართებული იყო. შესაბამისად, ძალოვნებს ბევრი არ უფიქრიათ და დაზარალებულის და დააკავეს. ექსპერტიზის დასკვნით, გოგონას თავში მძიმე საგნით მიყენებული დაზიანება ჰქონდა და კომაში იყო. „ბლაგვი საგანი“ ანუ არმატურის ნატეხი იქვე ეგდო და რაც მთავარია, მასზე ზუსტად ხელის ის მალამო იყო შერჩენილი, რომელიც დაკავების მომენტში ეჭვმიტანილს ესვა, თანაც მალამო ისე იყო შერჩენილი, რომ ქალს რკინის ნაჭერი აშკარად მყარად და დასარტყმელად ეკავა.

„ვაღიარებ, რომ დასთან გადასარევი ურთიერთობა არ მქონდა. მე ადრე გავთხოვდი, ქმარი მალევე დამეღუპა და შემრჩა თოთო ბავშვი ხელში. ქმართან ერთად, ნაქირავებში ვცხოვრობდი და ბინის ქირას, უბრალოდ, ვერ გადავიხდიდი, ამიტომ მშობლებთან დავბრუნდი. მათ სამოთახიანი ბინა აქვთ, ერთში თავად იყვნენ, მეორეში – ჩემი და და მესამეში მე შევედი. თავიდან ყველაფერი კარგად იყო, შემდეგ ჩემმა დამ დიდ ოთახში მოინდომა გადასვლა და შვილთან ერთად, მე პატარა ოთახში შევედი. რამდენიმე თვის წინ, მან გამოაცხადა, ცალკე გადავდივარ საცხოვრებლადო და მე ისევ დიდ ოთახში დავბრუნდი, ცოტა ფული მქონდა მოგროვებული, შესაბამისი ავეჯი დავამზადებინე, კედელთან ისე ავაწყვე ყველაფერი, რომ ოთახში ფართიც დიდი ჩანდა, მაგრამ რად გინდა, ჩემი და დაბრუნდა და ის ოთახი მოითხოვა. უარი ვუთხარი და ისე გავმწარდი, სახლიდანაც კი წავედი. ჰოდა, იმ დღეს დამირეკა, შევხვდეთ, ბოდიში მინდა მოგიხადო, შენი ოთახი წაიღე, ოღონდ ერთი თხოვნა მექნებაო. სახლთან დამითქვა შეხვედრა, მივედი და სრულიად შემთხვევით წავაწყდი. ის არმატურის ნაჭერი გვერდით ეგდო, ძალაუნებურად მოვკიდე ხელი, ორი თითით ავწიე და ზედ სისხლი რომ დავინახე, მაშინვე დავაგდე და გავიქეცი. მკვდარი მეგონა, ამიტომ შემეშინდა და ვერსად დავრეკე, ვიფიქრე, მე დამაბრალებენ-მეთქი“, – განაცხადა დაკავებულმა და კატეგორიულად უარყო, რომ რკინას ხელი მყარად მოჰკიდა, მხოლოდ ორი თითით ავწიეო.

განყოფილებაში გოგოების მამაც მივიდა და ბოლო ხმაზე ყვიროდა, ჩემი შვილი გამოუშვითო.

„დიახ, ვაღიარებ, რომ ჩემს შვილებს გადასარევი ურთიერთობა არ ჰქონდათ, მაგრამ ისინი ჩემი გაზრდილები არიან და ზუსტად ვიცი, ერთი მეორეს მოსაკლავად ვერ გაიმეტებდა. მესმის, რომ მტკიცებულებები მის წინააღმდეგაა, მაგრამ მე დამიჯერეთ, გამზრდელ მამას, დამნაშავე სხვა არის, მაგრამ... წარმოდგენა არ მაქვს, ვინ“, – ეს უკვე დაზარალებულის და ბრალდებულის მამის განცხადება იყო.

სამართალდამცავებს იმის იმედი ჰქონდათ, რომ გოგო აზრზე მოვიდოდა და თავად იტყოდა, ვინ დაესხა თავს, მაგრამ ექიმები ამბობდნენ, ეს არცთუ მარტივი იქნება და ვერც იმის იმედს მოგცემთ, რომ კომიდან გამოსვლის შემდეგ, ნორმალურად აზროვნებას მოახერხებსო. ამიტომ, გაჩერება არ შეიძლებოდა და... განყოფილებაში პატარა ბიჭი მივიდა, დეიდაჩემს მე ჩავარტყი თავში ის არმატურის ნაჭერი, დედას ნერვებს უშლიდა და ამიტომ. მე დამიჭირეთ, დედიკო კიდევ გამოუშვითო. ძალოვნებმა ბავშვს ყურადღებით მოუსმინეს, მერე ექსპერტებთან წაიყვანეს და მათ ერთხმად თქვეს, რომ მოზარდს არც ძალა ეყოფოდა ასეთი დარტყმისთვის და არც – სიმაღლე, უბრალოდ, იტყუებოდა და დედის გათავისუფლებას ცდილობდა.

„როგორც ვიცი, ის გათხოვებას გეგმავდა. საქმროც გამაცნო, ახალგაზრდა კაცია, სახელი ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ სამაგიეროდ, მახსოვს მანქანის ნომერი, რომლითაც მოვიდა“, – ძალოვნებს ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია დაზარალებულის მეგობარმა მიაწოდა. რა თქმა უნდა, მანქანის ნომრით მისი მფლობელის ვინაობა მალე გაიგეს, მაგრამ მამაკაცს დასაკითხად მაშინვე არ ეცნენ, ჯერ იმის გარკვევა დაიწყეს, ვინ იყო, რას წარმოადგენდა და დაადგინეს, რომ მას მეუღლე ჰყავდა. უფრო ზუსტად, ჰყავდა ქალი, რომელთანაც ექვსი წლის განმავლობაში ცხოვრობდა და მართალია, ხელი არ ჰქონდათ მოწერილი, მაგრამ წყვილს ყველა, როგორც ცოლ-ქმარს, ისე იცნობდა. ეს უკვე საინტერესო იყო – თუ მამაკაცი ექვსი წელი ერთ ქალთან ერთად ცხოვრობდა და სხვა ქალის ცოლად მოყვანა ჰქონდა გადაწყვეტილი, სად უნდა წაეყვანა ცოლი? ორცოლიანობა, როგორც ახლა, მაშინაც აკრძალული იყო. მამაკაცი დასაკითხად დაიბარეს.

„ვიცი, რაც მოხდა და ყველაზე საინტერესო ის არის, რომ შეხვედრის ადგილამდე მე მივიყვანე. მითხრა, დას უნდა შევხვდე, მერე შინ ერთად ავალთ, ოჯახს ვეტყვი, რომ ვთხოვდებიო და ძალიან ბედნიერი იყო. მანქანით დავტოვე და წამოვედი, აღარ დავლოდებივარ, მეორე დღეს კი, როცა აღარ გამოჩნდა, ეზოში მივედი და ეს ამბავი დამხვდა. ვერ ვხვდები, ვის რა დაუშავა, არც სამსახური აქვს ისეთი, რამე საიდუმლო გაეგო, არც ძვირფასეულობა ჰქონია თან და არც – ფული. თავს ვიმტვრევ, რა მოხდა და სიმართლე გითხრათ, მხოლოდ იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ დამ გაიმეტა, მაგრამ... დამ ხომ იცოდა, რომ შესარიგებლად და ოთახის დასათმობად ხვდებოდა“, – მამაკაცი თითქოს თავისთვის მსჯელობდა და როცა კითხვა იმ ქალზე დაუსვეს, რომელთან ერთადაც წლები ცხოვრობდა, არ დაბნეულა.

„დასამალი არაფერია, მასთან დაშორებას ვაპირებ. ჩვენ შვილი არ გვიჩნდებოდა, მიზეზი მე ვიყავი, ამიტომ ექიმთან სიარული დავიწყე. მკურნალმა ექიმმა მითხრა, ისეთი წამლები უნდა დაგინიშნო, დაახლოებით, ექვსი თვე შენი სპერმატოზოიდები უვარგისი იქნება, ჩათვალე, მკვდარი იქნება ყველაფერი, მაგრამ მერე აღდგებაო, დავთანხმდი და მკურნალობის მეორე თვეს, ამ ქალმა გამომიცხადა, ორსულად ვარო. სკანდალი არ მომიწყვია, ექიმთან გადავამოწმე, სპერმის ანალიზიც კი ჩავაბარე და დასკვნა ერთმნიშვნელოვანი იყო – ქალი ორსულად ჩემგან ვერ იქნებოდა. ამან უფრო დამარწმუნა, რომ მას უნდა დავშორებოდი და ის ერთოთახიანი ბინაც არაფერში მჭირდებოდა, ვუტოვებდი. აგერ, სამოთახიანი მაქვს, ვარემონტებ და ქალთან, რომელსაც ცოლად მოვიყვანდი, სწორედ იქ უნდა მეცხოვრა“, – განაცხადა მამაკაცმა.

გამომძიებლები საერთოდ დაიბნენ და აღარ იცოდნენ, რა ექნათ. ყოველი შემთხვევისთვის, იმ ქალის ნახვა გადაწყვიტეს, რომელთან დაშორებასაც მამაკაცი აპირებდა, ეგებ, ცხელ გულზე, რამე ისეთი ეთქვა, რაც გამოძიებას ახალ მიმართულებას მისცემდა, თუმცა მან მხრები აიჩეჩა, აბა, მე რა ვიცი, ვის რა ჩაარტყეს, ბავშვს ველოდები და ბედნიერი ვარო. ის იყო, ძალოვნები წამოსვლას აპირებდნენ, რომ ერთ-ერთი მათგანი ადგილზე გაშეშდა. მეორემ კოლეგის მზერას თვალი გააყოლა და ისიც შედგა – შესასვლელში, სარკესთან, სწორედ ის მალამო იდო, რომელსაც დაკავებული ხმარობდა და რომელიც არმატურას ეცხო. საჭირო იყო მოულოდნელობის ეფექტი და მიწოლა, რომ ქალს დანაშაული ეღიარებინა. ამიტომ, ერთ-ერთმა გამომძიებელმა პირდაპირ, მოურიდებლად მიახალა ქალს, შენ ამ კაცს ღალატობ, ბავშვს სხვისგან ელოდები და სწორედ შენ ჩაარტყი იმ გოგონას თავში რკინა, მისი მოშორება გინდოდა, მაგრამ წარმოდგენაც არ გაქვს, რომ კაცმა, რომელთანაც ცხოვრობ, ყველაფერი იცის, იცის, რომ ღალატობ და შენთან არ დარჩებაო. ქალისთვის ყველაფერი ეს ძალიან მოულოდნელი იყო, იქვე, იატაკზე ჩაჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ატირდა.

„მე შვილი მინდოდა, შვილი... ექვსი წელი ვიცხოვრე მასთან და ცოლობაზე სიტყვაც არ დასცდენია, ბავშვზე საუბრობდა სულ. ექიმთან ვიყავი, მე ყველაფერი მწყობრში მქონდა და მივხვდი, მისი ბრალი იყო. ამიტომ, მართლა პირველივე შემხვედრთან, სრულიად უცნობ მამაკაცთან დავწექი, მერე რომ არ მეძებნა და არ ვეძებნე, მაგრამ... მეზობელმა მითხრა, შენი კაცი სხვასთან ერთად დადის ხოლმეო და თვალთვალი დავუწყე. ახლა... ახლა, ეს ექვსი წელიც წყალში ჩაიყარა და ისიც კი არ ვიცი, ბავშვი ვისგან მეყოლება“, – ტიროდა გოგონა.

საბედნიეროდ, დაზარალებული გადარჩა, სასამართლომ თავდამსხმელის ორსულობა გაითვალისწინა და იმის გამო, რომ მას მომჩივანი არ ჰყავდა (დაზარალებულმა არ იჩივლა), მხოლოდ ხუთწლიანი პირობითი მსჯავრი აკმარა.

# მოძალადე კაცის შვილს მამისგან გაუპატიურებული ქალი შეუყვარდა

## ძალიან დიდი ოჯახური ტრაგედიის სისხლიანი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

**მატარებლით მგზავრობა ადრე მთელი ფილოსოფია იყო. ეს ახლაა, ჩქაროსნული მატარებლები და ვერ ასწრებ, კუპეში მგზავრი გაიცნო, თორემ ადრე, როცა მაგალითად, მატარებლით თბილისიდან საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკაში მიდიოდი და გზაში რამდენიმე დღეს ატარებდი, სხვა „გაგება და ურთიერთობა“ იყო. მეტიც, მატარებელში გაცნობილ ადამიანთან იშვიათად, მაგრამ მაინც იქმნებოდა ოჯახები, ოჯახები თუ არა, იყო დამეგობრება, ურთიერთობა, სტუმრად მისვლა, ბავშვის მონათვლა და ყველაფერი ეს, ძალიან ლამაზი და სუფთა იყო. ჰო, რა თქმა უნდა, ხდებოდა ისეც, რომ ორ-სამდღიანი რომანით კმაყოფილდებოდნენ წყვილები, ერთმანეთს არც სახელს ეკითხებოდნენ, არც – მისამართს, უბრალოდ, ერთობოდნენ და მერე ორივე თავის გზაზე მიდიოდა იმ იმედით, რომ ერთმანეთს აღარასოდეს შეხვდებოდნენ...**

საქართველოს ერთ-ერთ დიდ ქალაქში, მშენებარე კორპუსიდან ახლგაზრდა ქალი გადმოხტა. უფრო სწორედ, ასეთი ვერსია სამართალდამცავებს ჰქონდათ და არც არავინ აპროტესტებდა, რადგან ერთი შეხედვით, არ ეტყობოდა ძალადობის ნიშნები და რაც მთავარია, დარაჯი ამბობდა, რომ გოგონა მარტო შევიდა შენობაში, ამბობდა, აქ ჩემი ბინა უნდა იყოსო და შემდეგ გადმოვარდა. დარაჯს არც შესული დაუნახავს ვინმე სხვა და არც – გამოსული.

„გამორიცხულია, ჩემს დას თავი მოეკლა. ის გათხოვებას აპირებდა, ძალიან ბედნიერი იყო, საქმროც ჰყავდა, რაც მთავარია, ამ კორპუსში ბინას ელოდა და თქვენ გინდათ დამაჯეროთ, რომ თავი მოიკლა? სისულელეა ყველაფერი, ის გადმოაგდეს და მგონია, რომ დარაჯმა ან რაღაც იცის და მალავს, ან უბრალოდ, ეძინა და ახლა არ სურს, ეს ხმამაღლა თქვას“, – გარდაცვლილის უფროსი და ბოლო ხმაზე ყვიროდა.

„ისე, სახლს მეორე მხარესაც აქვს ასასვლელი სახანძრო კიბით. იქაურობას დავათვალიერებ და თუ ახალი ნაფეხურები არ იქნება, საქმეს ვხურავთ“, – ჩუმად ჩაილაპარაკა გამომძიებელმა და თანაშემწესთან ერთად, შენობას უკანა მხრიდან მოუარა. სახანძრო კიბე მტვრით კი იყო დაფარული, მაგრამ... აშკარად ჩანდა ახალი ნაფეხურები და ფეხსაცმლის ზომით თუ იმსჯელებდნენ, ნაფეხურები მამაკაცის უნდა ყოფილიყო. გამოდიოდა, რომ დის ვარაუდი რეალობისგან შორს არ იყო. საქმე ოფიციალურად თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით აღიძრა, მაგრამ არაოფიციალურად, სამართალდამცავები მკვლელს ეძებდნენ, რომელმაც გოგონა გადმოაგდო. პირველ რიგში, საქმრო უნდა დაეკითხთ.

„არ ვიცი, რა უნდა გითხრათ. ჩვენ ერთმანეთი სიგიჟემდე გვიყვარდა, მხოლოდ ბინის დასრულებას ველოდით და მერე მცირე ქორწილსაც ვგეგმავდით. მანამდე კი, როგორც გვიხერხდებოდა, ისე ვხვდებოდით ერთმანეთს. მეტიც, ეჭვი ჰქონდა, რომ ორსულად იყო, მაგრამ... არ ვიცი, რა ვიფიქრო, რატომ უნდა მოეკლა თავი? მტერი არ ჰყავდა, მეც არ მყავს ისეთი მტერი, რომელსაც შეიძლებოდა ასე გავემეტებინე“, – ამბობდა გულმოკლული საქმრო და ექსპერტების დასკვნის მიხედვით, მისი ვარაუდი მართალი იყო – გარდაცვლილი ორი კვირის ორსული გახლდათ.

სამართალდამცავებმა იმის გარკვევა დაიწყეს, ხომ არ იყო გოგო ვინმე სხვასთან ურთიერთობაში ანუ ხომ არ ჰყავდა საყვარელი, რომლისგანაც დაორსულდა, ეგებ, სწორედ მან გაიმეტა მოსაკლავად, ამიტომ ბოლომდე აამუშავეს აგენტურული ქსელი და ამასთან ერთად, მისი სამეგობროსa და თანამშრომლების გამოკითხვა დაიწყეს. ყველა ერთხმად, კატეგორიულად ამტკიცებდა, რომ საქმროს გარდა, გოგოს ურთიერთობა არავისთან ჰქონდა, დილით სწორედ საქმროს მიჰყავდა სამსახურამდე, მისი დასრულების შემდეგ კი, კართან ელოდა და გოგონაც სიხარულით მეცხრე ცაზე დაფრინავდა, კუნტრუშით გარბოდა ხოლმე ბიჭის შესახვედრად და ისინი ერთად მიდიოდნენ, მთელ საღამოს ერთად ატარებდნენ, ხანდახან ბიჭი მასთან რჩებოდა, ან პირიქით, გოგონა რჩებოდა ბიჭთან, რომელსაც ცალკე, ერთოთახიანი ბინა ჰქონდა. ბიჭის მშობლებიც გამოჰკითხეს, მაგრამ ახალი ვერც მათგან გაიგეს, ნორმალურად არც კი ვიცნობდით, მკვლელობის წინა დღეს მოიყვანა ჩვენს გასაცნობად, გავიცანით, მაგრამ ერთი ნახვით, აბა, რა უნდა გაგვეგოო. ეს ახალი ამბავი იყო, საქმროს არ უთქვამს, რომ სიკვდილამდე ერთი დღით ადრე, საცოლე მშობლებთნ ჰყავდა. სანამ ბიჭს კიდევ ერთხელ დაჰკითხვდნენ, გამომძიებლები მეზობლებთან მივიდნენ და ჰკითხეს, ხომ არ იყო რამე ხმაური, ან ყვირილი ხომ არ გუგონიათ? მეზობლების თქმით, ხმაური არ ყოფილა, თუმცა გოგონამ საქმროს მშობლების სახლი მარტომ დატოვა და კიბეზე აჩქარებული ნაბიჯით დაეშვა. ეს რაღაც ახალი იყო – საქმროს არ უთქვამს, რომ მკვლელობის წინა დღეს, საცოლე მშობლებს გააცნო და რომ ის იქიდან მარტო წავიდა. გამოდიოდა, რომ იქ რაღაც მოხდა და ეს რაღაც, შესაძლოა, კავშირში ყოფილიყო მომხდართან. ამიტომ, სამართალდამცავებმა საქმრო სასაუბროდ განყოფილებაში დაიბარეს.

„ვაღიარებ, ცოტა უცნაური მშობლები მყავს და შეიძლება, ჩემთვისაც ვფიქრობ, მათ ისეთი რამ უთხრეს ჩემს საცოლეს, რომ გაბრაზდა დ გაიქცა, მაგრამ... თავის მოკვლა? ვეცადე, დავლაპარაკებოდი დედ-მამას, მაგრამ ორივე მხრებს იჩეჩავს, წარმოდგენა არ გვაქვს, რა მოხდა, ისეთი არაფერი გვითქვამსო. უფრო მგონია, რომ მამამ უთხრა რაღაც, რადგან მე საპირფარეშოში შევედი, იქიდან რომ გამოვედი, დედასთან ერთად სამზარეულოში გავედი, ნამცხვარი და ტკბილეული რომ გამოგვეტანა, მერე მეორედ გავედით და რომ შემოვედი, ჩემი საცოლე უკვე კიბეზე ჩარბოდა. არადა, წესით, დედისგან უფრო ველოდი რამე გამოხტომას, ეგებ, იმ დროს უთხრა, როცა ორივე ოთახში იყვნენ და უბრალოდ, ჩემმა საცოლემ გვიან აღიქვა, ან გვიან გაბრაზდა. მოკლედ, არ ვიცი“, – დაბნეულად საუბრობდა ბიჭი.

გამომძიებლები მიხვდნენ, რომ ცოლ-ქმარი ასე მარტივად არაფერს იტყოდა. მეტიც, მათ ჰქონდათ დრო, რათა მოელაპარაკათ და ჩვენებები შეეჯერებინათ. ამის მიუხედავად, ისინი ცალ-ცალკე მაინც დაკითხეს და ძალოვნების მოლოდინი გამართლდა – ორივე თითქოს დაწერილ ტექსტს კითხულობდა, ერთსა და იმავეს იმეორებდა და სხვა რამის დამატებას არ აპირებდა. ორივე იფიცებოდა, რომ გოგონასთვის არაფერი უთქვამთ ისეთი, რის გამოც შეიძლებოდა, ის გაქცეულიყო და მით უმეტეს, თავი მოეკლა. აშკარა იყო, რომ ისინი რაღაცას მალავდნენ, მაგრამ რას? ისე ჩანდა, რომ მშობლების ნამოქმედარისა თუ ნათქვამის აზრზე ბიჭიც არ იყო, მასაც ინტერესი ჰკლავდა, მაგრამ მოხუცები არც მასთან იღებდნენ ხმას.

სამართალდამცავებმა ისევ გარდაცვლილის და დაჰკითხეს, ეგებ, რამე გაეხსენებინა, ან თავად მას ეთქვა რამე ბიჭის მშობლებზე, მაგრამ ქალი უიმედოდ აქნევდა თავს, არაფერი უთქვამსო და ტირილით მიაყოლა, ჩემი უბედური და, ბავშობაში ისეთი სტრესი გადაიტანა, მეგონა, იქიდან ვერასდროს გამოვიდოდა, მაგრამ ახლა, თითქოს გაუმართლა, თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დადგა...

„პატარა იყო, ასე 14-15 წლის, როცა დედაქალაქში სტუმრად ნათესავებთან ჩამოიყვანეს. მერე მამა გახდა ავად და მის ჩამოსაყვანად არავის ეცალა, ამიტომ მატარებელზე დასვეს და გამოუშვეს. მატარებელში ვიღაც კაცმა მისი გაუპატიურება სცადა, ტანსაცმელი შემოახია და... არ ვიცი, ამბობდნენ, გაუპატიურება მოახერხაო, იმასაც ამბობდნენ, ვერ გააუპატიურაო. ამ თემაზე არასოდეს გვისაუბრია, ან რა იყო სათქმელი და საკითხავი. ის კაცი არ დაიჭირეს, მის ცოლს ჰქონდა გავლენიანი თანამდებობა, მგონი, რომელიღაც ტრესტში მთავარ ბუღალტრად მუშაობდა. ქმარს აპატია, ისე გამოიყვანეს, თითქოს იმ კაცს ჩემი 14 წლის სოფლელი და მიახტა და ის იშორებდა და ძლივს მოიშორა“, – ტირილით ჰყვებოდა და.

გამომძიებლებმა ერთმანეთს გადახედეს. ტრესტში მთავარ ბუღალტრად, თავის დროზე, სწორედ ბიჭის დედა მუშაობდა, ის საქმეც ამოქექეს, რომელიც საგულდაგულოდ იყო მიგდებულ-მივიწყებული და ყველაფერი დაემთხვა – გაუპატიურებაში ბრალდებული ბიჭის მამა იყო. ცოლ-ქმარი დააკავეს და ამჯერად, ზუსტად იცოდნენ, რა უნდა ეკითხათ. ქალი ისევ ჯიუტობდა, კაცი კი...

როგორც კი ოთახში შემოვიდა, მაშინვე ვიცანი, მან ვერ მიცნო. ვიცი, დამნაშავე ვარ, მაშინ ნასვამი ვიყავი და არც მახსოვს ნორმალურად, რას ვაკეთებდი. როცა ოთახში მარტო დავრჩი, ვუთხარი, შენ ჩემი რძალი ვერასდროს გახდები, არ მინდა, ჩემი რძალი იყოს ქალი, რომელთანაც, პრაქტიკულად, ურთიერთობა მქონდა-მეთქი. მერე მიხვდა, მერე მიცნო და ბინიდან ამიტომაც გავარდა. საღამოს დარეკა, თავად მთხოვა შეხვედრა იმ მშენებარე კორპუსში. მივედი და იგივე გავუმეორე, ისიც ვუთხარი, თუ საჭირო გახდება, ჩემს შვილსაც ყველაფერს მოვუყვები-მეთქი და წამოვედი. ბოლომდე არ ვიყავი ჩამოსული, ოდნავი ყვირილისა და მერე დაცემის ხმა რომ გავიგე. რა უნდა მექნა, რაღას ვუშველიდი? ავდექი და წამოვედი“, – განაცხადა კაცმა.

სასამართლო არც ამჯერად დადგა მოწოდების სიმაღლეზე და კაცს სამწლიანი პირობითი სასჯელი მიუსაჯეს, თუმცა მთავარი სასჯელი ის იყო, რომ შვილმა მშობლებთან ურთიერთობა საერთოდ გაწყვიტა.

ბათო ჯაფარიძე

**თუ იცით, საიდან მოდის გამოთქმა – „ცოლმა ქმარს რქები დაადგა?“ ამ გამონათქვამს დიდი ხნის ისტორია აქვს და ის ბიზანტიის იმპერატორების, კომნენოსების გვარს უკავშირდება. ანდრონიკე კომნენოსის დროს, სამეფო კარზე, სხვა წესებთან ერთად, ერთი ასეთი წესიც მოქმედებდა – იმპერატორის რჩეული ქალის ქმარს უფლება ჰქონდა, სამეფო ტყეებში ენადირა. როცა ქმარი სანადიროდ მიდიოდა, მის ჭიშკარზე ირმის რქებს ამაგრებდნენ, რაც იმის ნიშანი იყო, რომ ქმარი სამეფო ტყეში იყო წასული სანადიროდ (რაც პატივად ითვლებოდა), ხოლო იმპერატორი რჩეულ ქალთან ატარებდა დროს და ზუსტად იცოდა, რომ ქმარი არ მიუსწრებდა.**

# რატომ აშანტაჟებდა მოხუცი მამა გათხოვილ ქალიშვილს

უცნაური დანაშაული, რომელიც „ჰეფი ენდით“ დამთვრდა

ჰოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდებოდა, როცა ერთ მშვენიერ დღეს, შინ დაბრუნებულ მამაკაცს, ბინის კარზე ირმის რქები დახვდა მიმაგრებული. მან ცოლს ალმაცერად გახედა და მეუღლემ უხერხულად გაიღიმა, ალბათ, ვიღაც ბოროტმა იხუმრაო, მაგრამ ღიმილი სახეზე შეახმა – ქმარმა მთელი ძალით მოუქნია ხელი და სახეში გაარტყა. ქალი ამას არ ელოდა და დარტყმის სიძლიერითა თუ მოულოდნელობით, იქვე, კარის წინ წაიქცა. ქმარი ბინაში არ შევიდა, უკან გაბრუნდა და ცოლს სიტყვა დაუგდო, დღეს სამსახურში ვრჩებიო.

„ჩემი ქმარი ფიზკულტურის მასწავლებელია. სპორტი მისი მოწოდებაა, მუდმივად საოცარ ფორმაშია, ცდილობს, ახალგაზრდებს სპორტი შეაყვაროს. რვა წელია, ერთად ვცხოვრობთ და არ ვიცი, როგორ დაგაჯეროთ ან თქვენ, ან ის, რომ არასდროს მიღალატია. მეტიც, ხომ არის ფიზიკური ღალატი და ღალატი გონებით – მე გონებაშიც კი არ გამივლია, რომ შესაძლებელი იყო, ჩემს გვერდით სხვა მამაკაცს ეცხოვრა. გემუდარებით, გაიგეთ, ვინ გვეხუმრა ისე, რომ ლამის ოჯახი დამენგრა“, – ქალი მილიციის განყოფილებაში იყო მისული და განცხადებას ცრემლების ღაპა-ღუპით წერდა.

რა თქმა უნდა, ძალოვნებს ბევრად მეტი და საინტერესო თუ რთული საქმეები ჰქონდათ გამოსაძიებელი, მაგრამ განცხადება მაინც დაიტოვეს, თუმცა თაროზე შემოდეს და... მესამე დღეს, იმავე ქალს უფრო მეტი ყურადღებით უსმენდნენ.

„იგივე განმეორდა და ქმარმა მითხრა, თუ გავიგე, ვისთან მღალატობ, ორივეს დაგკლავთო. ის ასეთი არასდროს მინახავს და რატომღაც მგონია, რომ მცირედი მიზეზიც კი საკმარისი იქნება, ყელი გამომჭრას. გემუდარებით, დამეხმარეთ, თანაც რქებთან ერთად, ახლა წერილიც იყო, სადაც ვითომ ჩემი საყვარლის სახელი და გვარი ეწერა. კიდევ კარგი, სიბრაზით დაბრმავებულმა ქმარმა წერილი ვერ ნახა. რაც შეეხება ამ პიროვნებას, სტუდენტობის დროს მეტრფოდა და მას შემდეგ, წარმოდგენა არ მაქვს, სად არის, რას საქმიანობს, ცოლ-შვილიანია თუ არა, ან საერთოდ, ცოცხალია თუ არა. ვის უნდა გახსენებოდა ის კაცი, მაგასაც ვერ ვხვდები, სახელი და გვარი რომ წავიკითხე, მერე ამოტივტივდა გონებაში, თორემ მანამდე არასდროს გამხსენებია“, -ამბობდა ქალი.

მისივე თქმით, ის მამასთან ერთად ცხოვრობდა, რომელიც მთელი ცხოვრება ძველებური ნივთების შეგროვებით იყო დაკავებული და სახლი პატარა მუზეუმს ჰგავდა. დედა მშობიარობას გადაჰყვა და მამას მეორე ცოლი არ მოუყვანია, მარტომ გაზარდა ერთადერთი ქალიშვილი და მზე და მთვარე სწორედ მასზე ამოსდიოდა. სამართალდამცავებმაც სწორედ მისი დაკითხვა გადაწყვიტეს, რადგან ის სახლიდან თითქმის არ გადიოდა და წესით, რამე ხმაური მაინც უნდა გაეგო. პარალელურად, ორი ოპერმუშაკი იმ კაცის მოსაძებნად წავიდა, რომელიც წერილში იყო ნახსენები.

„დავბერდი, ძალიან დავბერდი და დავუძლურდი. ჩემთვის მთავარი სიამოვნება ამ ძველი ნივთების თვალიერებაა, ვზივარ, ვათვალიერებ და თითოეული მათგანის შეძენის ისტორიას ვიხსენებ, ყველაფერი კარგად მახსოვს. სამწუხაროდ, არც ჩემს შვილს და არც სიძეს არ აინტერესებთ ძველებური ნივთები და მგონია, რომ მოვკვდები, მაშინვე ყველაფერს გაყიდიან. რაც შეეხება თქვენს კითხვას, სახლში კი ვარ, მაგრამ კარზე ვინმემ რომც დააკაკუნოს, არ ვაღებ. ჩემთან სტუმრად არავინ დადის, სიძე-ქალიშვილს კი საკუთარი გასაღები აქვთ და რატომ უნდა შევწუხდე? შეიძლება, გავიგე კიდეც ხმაური, მაგრამ ყურადღება არც მიმიქცევია. კარგი ბედოვლათია ჩემი სიძე, ასეთი ჯანმრთელი ადამიანი და მთელ დროს სკოლაში ატარებს, მათხოვრულ ხელფასზე“, – თავი გადააქნია მოხუცმა და იქვე დააყოლა, ჩემი ქალიშვილის პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება, რადგან ისე მყავს გაზრდილი, გამორიცხულია, ქმრისთვის ეღალატაო.

„ვინ? ჰო, როგორ არ მახსოვს, მთელი სტუდენტობა მარტო ეგ ქალი მიყვარდა... კარზე რქები დაუმაგრეს, წერილი მიუგდეს და მე მახსენეს? საოცარია... მე ცოლ-შვილი მყავს, სერიოზული სამსახური მაქვს, პრაქტიკულად, სამი საათის ჩამოსული ვარ რომიდან, სადაც კონფერენციაზე ვიყავი. ძალიან გული მწყდება, რომ ასეთ დღეში ჩავარდნილა, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებით. მთელმა კურსმა იცოდა, რომ მიყვარდა, მაგრამ ვის შეიძლებოდა, ახლა გახსენებოდა ყველაფერი ეს, ნამდვილად ვერ გეტყვით. არ ვარ ისეთ ასაკში, ასეთი სისულელეებით დავკავდე, ამის არც დრო მაქვს, არც – სურვილი და რაც მთავარია, ცოლ-შვილი მყავს, რომელიც ყველას და ყველაფერს მირჩევნია“, – ეს უკვე იმ კაცის მონათხრობი იყო, რომელიც წერილში ეწერა.

ძალოვნებს, პრაქტიკულად, ყველა გზა მოეჭრათ, აღარ იცოდნენ, რა უნდა ექნათ, საიდან დაეწყოთ. ირმის რქებს რაც შეეხება, ჩვეულებრივი რქები იყო, ასეთები ბევრს ჰქონდა სოფლად თუ ქალაქად კედელზე მიჭედებული და ბევრი მას ქუდის თუ ლაბადის საკიდადაც კი იყენებდა. გაჩნდა ეჭვი, რომ საყვარელი შეიძლებოდა თავად მამაკაცს ჰყოლოდა და ამ გზით ცდილობდა ცოლისგან თავის დახსნას. ამიტომ, მას სამსახურში მიაკითხეს და კოლეგებს გაესაუბრნენ. პრაქტიკულად, ყველამ ერთ ახალგაზრდა მასწავლებელზე მიანიშნა, თუ სიმართლის გაგება გსურთ, მას ჰკითხეთო.

„დასამალი არაფერი მაქვს, როცა ეს კაცი ჩვენს სკოლაში მოვიდა, მაშინვე მოვიხიბლე. მერე გავიგე, რომ ცოლი ჰყავდა, მაგრამ შვილი – არა და ამიტომ, ჩავთვალე, რომ ადვილად მოვხიბლავდი, რადგან უშვილობა დიდი პრობლემაა. ჰოდა, როგორ არ ვეცადე, ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ დავრჩი და ვთხოვე, მავარჯიშე-მეთქი, ლამის გავშიშვლდი და როცა ჩემს განზრახვას მიხვდა, პირდაპირ მითხრა, ცოლისთვის არასოდეს მიღალატია, არც ვაპირებ, ძალიან მიყვარსო. ჰოდა, მას შემდეგ შევეშვი და დარწმუნებული ვარ, რომ ცოლს არასდროს უღალატებს“, – განაცხადა ქალმა.

სამართალდამცავებს ეჭვი ჰქონდათ, რომ მოხუცმა მამამ რაღაც გაიგო, ან ვინმე დაინახა და ამ თემაზე საუბარი არ სურდა. ამიტომ, ისევ მასთან მივიდნენ და სტუმრად მისივე ასაკის კაცი დახვდათ. ჩემი მეგობარიაო, გააცნო მასპინძელმა და სტუმარიც უკვე წასასვლელად ემზადებოდა. გამომძიებელმა თანაშემწეს თვალით ანიშნა და ისიც სტუმარს უკან გაჰყვა, კიბეზე ჩაგაცილებთო.

„უცნაური კაცია, ძალიან უცნაური. ვმეგობრობთ, მაგრამ მისი არ მესმის. ინტერესიც საერთო გვაქვს, მაგრამ მგონი, ამ სიბერეში რაღაც მოუვიდა. ამას წინათ, ირმის რქები მთხოვა, მიშოვეო და მეც ვუშოვე. რად გინდა-მეთქი და საჩუქრადო. აბა, ვინ ჩუქნის ჩვენს დროში, ირმის რქებს, ვინმეს“, – თავისთვის ბუტბუტებდა მოხუცი და კიბეზე აუჩქარებლად ჩადიოდა. რა თქმა უნდა, ის მაშინვე განყოფილებაში წაიყვანეს და რქები აჩვენეს, რომელიც ნივთმტმკიცებად იყო ამოღებული. მოხუცმაც თავი დაიქნია, კი, ეს რქებია, მაგრამ თქვენ რატომ გაქვთ, ვერ ვხვდებიო. ყველაფერი ცხადი იყო და გამომძიებელმაც გადაწყვიტა ოჯახის წევრები ერთად შეეკრიბა და მოხუცს თავად აეხსნა ჩადენილი საქციელი.

„არაფერს სჭირდება ახსნა. ჩემი სიძე უნაყოფოა, რვა წელია, შვილიშვილი ვერ მაჩუქეს. ამ ქონებას კი პატრონი სჭირდება. ამ გზით მინდოდა, ის გამეგდო და ჩემი შვილი სხვას გაჰყოლოდა. მერე, ყველაფერს შვილიშვილის სახელზე დავწერდი და დავწერდი იმასაც, რომ მის სრულწლოვანობამდე არავის ექნებოდა უფლება, ამ ნივთებისთვის ხელი ეხლო. ახლა ხომ გაიგეთ, რა მინდოდა“, – გაცხარებით საუბრობდა მოხუცი.

ცოლ-ქმარმა შვებით ამოისუნთქეს, კაცი ქალს ჩაეხუტა, მაგრამ ცოლს კიდევ ერთი კითხვა ჰქონდა – ვინ გითხრა, რომ ჩემი ქმარია უნაყოფოო და როცა მოხუცმა თქვა, თავად აღიარაო, ქალი ატირდა.

„სინამდვილეში, პრობლემა თქვენს შვილს აქვს, მაგრამ რომ არ გენერვიულათ, იმიტომ გითხარით, რომ მე მჭირდა რაღაც. არა უშავს, ახლა ყველაფერი რიგზეა, მკურნალობა შედეგს მოიტანს, ბოლო ეტაპს გავდივართ და შვილიშვილსაც აუცილებლად გაჩუქებთ“, – გაეღიმა სიძეს.

წყვილს შვილი მართლა შეეძინა, ოღონდ ორი წლის შემდეგ, თუმცა ბაბუა ამ ამბავს ვერ მოესწრო, მანამდე გულმა უმტყუნა.

## შინაგან საქმეთა სამინისტრომ „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ხუთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტისა და ოზურგეთის რაიონული პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისში, ოზურგეთსა და ლანჩხუთში, „ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფი ხუთი პირი დააკავეს.

„ქურდული სამყაროს“ წევრობის ფაქტზე დაკავებულები არიან: 1971 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი კ.ვ. და 1975 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.კ.

„ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის“ ფაქტზე კი დაკავებულია 1974 წელს დაბადებული ტ.ფ.

„ქურდული სამყაროს წევრისთვის“ მიმართვის ფაქტზე დაკავებულები არიან: 1981 წელს დაბადებული მ.გ. და 1968 წელს დაბადებული ვ.გ.

დანაშაულები 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული გამოძიებით, მათ შორის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე განხორციელებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ ვ.გ.-სა და მ.გ.-ს შორის მშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ფინანსური დავა წარმოიშვა. ბრალდებულებმა დავის მოგვარებისა და გადაჭრის მიზნით, „ქურდული სამყაროს“ წევრებს და კრიმინალურ ავტორიტეტებს: ტ.ფ.-ს, გ.კ.-ს და კ.ვ.-ს მიმართეს.

„ქურდულ სამყაროსთან“ კავშირში მყოფმა პირებმა ე.წ. ქურდული ტრადიციების შესაბამისად მოწყობილ შეკრებაზე, მოდავე მხარეს მეორეს სასარგებლოდ, ერთი თვის ვადაში 15 000 ლარის გადახდა დააკისრეს, რომელიც მ.გ,-მ დათქმულ ვადაში გადაიხადა.

აღნიშნული თანხის ნახევარი, დავის მოგვარებაში მონაწილე კრიმინალურ ავტორიტეტებზე გადანაწილდა.

პოლიციამ, ბრალდებულების პირადი და საცხოვრებელი სახლების ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო კომპიუტერული ტექნიკა, სავარაუდოდ ნარკოტიკული საშუალება და ბრალდებულების მობილური ტელეფონები, რომელთა საშუალებითაც ისინი ერთმანეთს უკავშირდებოდნენ.

გამოძიება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმეზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით, 223-ე ტერცია მუხლის მე-2 ნაწილით და 223-ე კვარტა მუხლის პირველი ნაწილით.

## პოლიციამ თბილისში, განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტთან დაკავშირებით, სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1966 წელს დაბადებული ა.ჯ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს, ხოლო წარსულში ნასამართლევი პირები: 1969 წელს დაბადებული თ.ზ. და 1993 წელს დაბადებული ბ.ჯ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 24 სექტემბერს, ბრალდებულმა ა.ჯ.-მ ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, თბილისში, დიდ დიღომში, ცეცხლსასროლი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა 1993 წელს დაბადებულ გ.ჯ.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება.

ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ა.ჯ ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ დაჭრის ფაქტს შეესწრნენ – ბ.ჯ. და თ.ზ., თუმცა მათ პოლიციას მომხდარი დანაშაულის შესახებ არ შეატყობინეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობასა და დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს.

## შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შეხვედრა გამართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კვეიჭოუს პროვინციის დელეგაციასთან

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, შეხვედრა გამართა საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კვეიჭოუს პროვინციის დელეგაციასთან, რომელსაც კვეიჭოუს პროვინციის ვიცე-გუბერნატორი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორი – ძია ლიძიუნი ხელმძღვანელობს.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამართალდამცავ სტრუქტურებთან არსებულ თანამშრომლობაზე. ასევე, განიხილეს სამომავლო თანამშრომლობის მიმართულებები, მათ შორის, გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისკუთხით.

ალექსანდრე დარახველიძემ ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამს მხარეთა შორის თანამშრომლობის გაფართოებასა და გაძლიერებაზე. მინისტრის მოადგილემ სტუმრებს მიაწოდა დეტალური ინფორმაცია სამინისტროს საქმიანობაზე, ასევე სამინისტროში მიმდინარე და განხორციელებულ რეფორმებზე.

შეხვედრის დასასრულს, დელეგაციის ხელმძღვანელმა მადლიერება გამოხატა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში აქტიურად გაგრძელდება მუშაობა მხარეთა მიერ, არსებული ორმხრივი ურთიერთობების კიდევ უფრო გაფართოების მიზნით.

## შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მისიას უმასპინძლა, რომელიც საქართველოში წინასაარჩევნო ვიზიტის ფარგლებში იმყოფება.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა განიხილეს მიმდინარე აქტუალური საკითხები, მათ შორის, მოახლოებული საპარლამენტო არჩევნები. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დელეგაციის წევრებს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა წინასაარჩევნო პერიოდში, უწყების მიერ გატარებული ქმედითი ღონისძიებების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს არჩევნების თავისუფალ, დემოკრატიულ და უსაფრთხო გარემოში ჩატარება.

შეხვედრაზე ალექსანდრე დარახველიძემ, ასევე ყურადღება გაამახვილა შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტებზე, რომლებიც მიზნად ისახავს თანამშრომელთა გადამზადებას, რათა პოლიციელებმა უზრუნველყონ საარჩევნო პროცესში მათზე დაკისრებული მოვალეობის ეფექტიანი შესრულება.

ვიზიტის ფარგლებში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციის წევრები შეხვედრებს მართავენ საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების, ასევე ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებთან.

## შინაგან საქმეთა მინისტრმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, არჩევნების უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი კალანდარიშვილმა, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების მშვიდ და უსაფრთხო გარემოში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმეს.

მემორანდუმის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცესკო-ს შორის, კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაცია კოორდინირებულად გაიცვლება.

დოკუმენტით განისაზღვრა საარჩევნო პერიოდში, მხარეთა შორის თანამშრომლობის ფორმები და შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩო.

ამასთან, მემორანდუმი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისა და ცესკო-ს წარმომადგენლების მონაწილეობით ერთობლივ ტრენინგებს, ასევე, სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას ითვალისწინებს.

საარჩევნო პროცესის უსაფრთხოების მაქსიმალური დაცვის უზრუნველსაყოფად, კოორდინირებული მუშაობის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, ბოლო წლებია, ყველა არჩევნებთან დაკავშირებით ფორმდება.

# ლეგიონი მწყობრშია და... მოგების იმედი გვაქვს

საქართველო-ალბანეთის მატჩამდე, ორ კვირაზე ნაკლები დარჩა და რაღა თქმა უნდა, ყველაზე მეტად ის გვაინტერესებს, როგორ ფორმაში ხვდებიან ეროვნული გუნდის წევრები მომავალ შეხვედრას. იმის მიუხედავად, რომ ჩვენი ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელებმა მეტ-ნაკლები წარმატებით ითამაშეს, თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა ფორმაშია და ალბანეთთან გუნდი აუცილებლად მოსაგებად გაიწევს.

გიორგი მიქაუტაძით დავიწყოთ. აშკარაა, რომ გუნდის თავკაცი ძირითადი შემადგენლობის ძიებაშია და ამის დადასტურება იყო ის, რომ თუ წინა შეხვედრაში, სათადარიგოთა სკამზე გიორგი მიქაუტაძე დასვა და შეცვლაზე შეუშვა, ამჯერად, ქართველი ფორვარდი ძირითადში იყო და თადარიგში გუნდის კაპიტანი ლაკაზეტი იჯდა. სწორედ მან შეცვალა ჟორჟი, რომელმაც ბევრი იბრძოლა, მაგრამ კარისკენ ვერ დაარტყა. „ლიონმა“ კი, მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე გატანილი გოლით იმარჯვა და ვინ იცის, რომ არ მოეგო, ეგებ, მთავარი მწვრთნელის გარეშეც დარჩენილიყო.

თადარიგიდან დაიწყო თავისი შეხვედრა ოთარ კიტეიშვილმა. მისი „შტურმი“ სტუმრად „ბაუ ვაისს“ ხვდებოდა და ანგარიში საყაიმო იყო, როცა ქართველი ნახევარმცველი მოედანზე გამოჩნდა. სწორედ კიტეს წაქცევისთვის დაინიშნა პენალტი, რომელიც თავად დაზარალებულმა დაარტყა და გოლთან ერთად, გუნდს სამი ქულა მოუპოვა. ოთარი მატჩის საუკეთესო ფეხბურელად სამართლიანად დაასახელეს.

„სოსიედადთან“ სტუმრად დამარცხდა გიორგი მამარდაშვილის „ვალენსია“. გიორგი 29 სექტემბერს, 24 წლის გახდა, თუმცა დაბადების დღე, ალბათ, ისეთი არ იყო, როგორიც სურდა – ქართველ კიპერს სამი უპასუხო გოლი გაუტანეს, მაგრამ დასამშვიდებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არცერთ გაშვებულ გოლში, მამარდა არავის დაუდანაშაულებია. ცხადია, რომ „ვალენსიას“ დაცვის ხაზი უკეთესის სურვილს ტოვებს.

ბუდუ ზივზივაძის „კარლსრუემ“ სტუმრად უხვგოლიანი ფრე ითამაშა. სტუმარ-მასპინძლებმა 4-5 გოლი გაიტანეს და „კარლსრუეს“ ერთი ბურთი, სწორედ ბუდუს პასით გავიდა. ქართველი ფორვარდი 6 გატანილი გოლითა და 2 საგოლე გადაცემით, მეორე ბუნდესლიგის ბომბარდირთა დავას სათავეში უდგას, ხოლო მის გუნდს, ბუნდესლიგაში გადასვლის შანსი აქვს.

გიორგი ქოჩორაშვილის „ლევანტემ“, „ალმერიას“ 4:2 მოუგო და იმის გათვალისწინებით, რომ ქართველი მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს, მისი წილი გამარჯვებაში დიდია. ქოჩორამ გოლიც გაიტანა, საგოლე გადაცემაც შეასრულა და ამ მოგებით, მისი გუნდი სეგუნდა დივიზიონში გალიდერდა კიდეც. აი, თუ „ლევანტე“ ასე გააგრძელებს და უძლიერესთა შორის აღზევდება, გიორგი „ალმერიას“ კი არა, „რეალსა“ და „ბარსელონას“ დაუპირისპირდება.

ამერიკის MLS ლიგაში მორიგი გოლი გაიტანა საბა ლობჟანიძემ. მისი „ატლანტა იუნაიტედი“ „ფილადელფია უნიონს“ დაუზავდა, შეხვედრა ფრედ, 1:1 დასრულდა და ის ერთი გოლიც ჩვენებურის ანგარიშზეა. მიმდინარე სეზონში, საბამ „ატლანტას“ მაისური 27-ჯერ მოიგო და 8 გოლის წილ, 6 საგოლე გადაცემაც მოუგროვდა.

ზურიკო დავითაშვილის „სენტ ეტიენმა“ სტუმრად, „ნანტთან“, ფრედ ითამაშა. ქართველი შემტევი მოედანზე 89-ე წუთამდე იყო, აქტივში საგოლე გადაცემაც ჩაიწერა და არა მარტო თანაგუნდელთა შორის, ერთ-ერთ საუკეთესოდ დაასახელეს. მართალია, „სენტ ეტიენი“ ბოლოდან მეორე ადგილზეა, მაგრამ დავითაშვილი თუ ასე გააგრძელებს თამაშს, უკეთეს გუნდში გადასვლას უპრობლემოდ მოახერხებს.

„ემპოლის“ რიგებში მორიგი მატჩი ჩაატარა საბა გოგლიჩიძემ. ქართველი მცველი ისევ დამაჯერებელი იყო და „ფიორენტინასთან“ მისმა გუნდმა გოლი არ გაუშვა, თუმცა ვერ გაიტანა და შეხვედრა ფრედ დასრულდა. საბას სახით, საქართველოს ნაკრებს აშკარად საიმედო მცველი ეზრდება, რადგან იტალიაში, ძირითადში თამაში, სადაც მცველთა დეფიციტი ნამდვილად არ არის, პატარა საქმე არ გახლავთ.

და ხვიჩა... „ნაპოლიმ“ საკუთარ მოედანზე ალეესანდრო ნესტას გაწვრთნილი „მონცა“ მიიღო და 2:0 დაამარცხა. კვარაცხელიას ანგარიშზე მეორე გოლია და ამ სეზონში, მან მეტოქეთა კარი უკვე მესამედ აიღო, მასზე მეტი მხოლოდ ოთხ ფეხბურთელს აქვს გატანილი, მაგრამ ყველას 4-4 გოლი და შემდეგ ტურში ხვიჩა ისევ თუ შეაგდებს, ბომბარდირთა დავას ჩაუდგება სათავეში.

# ბილეთები ისევ არ არის და... ისევ არის

14 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული ნააკრები, ერთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისში, „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე, ალბანეთს უმასპინძლებს. მოგეხსენებათ, ორი ტურის შემდეგ, ჩვენი გუნდი ჯგუფში ერთპიროვნული ლიდერია და რაღა თქმა უნდა, ალბანეთთანაც ფავორიტად ითვლება. აღნიშნულ მატჩზე დასასწრები ბილეთები, როგორც წესი, ისევ იმ ვებ-გვერდზე დაიდო, სადაც მანამდე იყიდებოდა და რომელ ვებ-გვერდთანაც გულშემატკივართა უმრავლესობას პრეტენზია ჰქონდა. ბილეთების გაყიდვა 12.00 საათზე დაიწყო და 14.00 საათზე, ყველა ბილთი გაიყიდა. ძალიან კარგია, რომ ნაკრების თამაშის მიმართ ამხელა ინტერესია და გულშემატკვირები სტადიონს ავსებენ, მაგრამ...

ვებ-გვერდის წესების თანახმად, ერთ პიროვნებას ორ ბილეთზე მეტის შეძენის უფლება არ აქვს და ამას იმით ასაბუთებენ, რომ თურმე ამ შეზღუდვის გამო, ბილეთები გადამყიდველების ხელში ვერ ხვდება, არადა... როგორც კი, კონკრეტულ ვებ-გვერდზე ჩნდება ცნობა, რომ ბილეთები გათავდა, სოციალურ ქსელში იწყება ბილეთების გაყიდვა ათმაგ ფასად და რაც მთავარია, გადამყიდველები მზად არიან, 10, 15, 20 და 50 ბილეთიც კი მოგაწოდონ. ჰოდა, უკვე მერამდენე მატჩია, გულშემატკივარს აინტერესებს, საიდან ხვდება ერთი გადამყიდელის ხელში 50-ზე მეტი ბილეთი და თანაც მიყოლებით ანუ გვერდი-გვერდ სკამები? ერთხელ და სამუდამოდ ხომ შეიძლება, ეს პრობლემა მოგვარდეს და ერთხელ მაინც გამოძიებული იყოს საქმე? სხვაგვარად, ეს ყველაფერი დაცინვას ჰგავს, ნამდვილი გულშემატკივარი ორ ბილეთზე მეტს ვერ ყიდულობს, გადამყიდველების ხელში კი, რაღაც საოცარი ქმედებით, ასეულობით ბილეთი ხვდება.

# ჰოლოვეისთან ჩხუბის წინ, თოფურიას მაკგრეგორი დაუპირისპირდა

26 ოქტომბერს, დიდი ჩხუბია. არა, არჩევნებს არ ვგულიხსმობთ – UFC-ს პირველი ქართველი ჩემპიონი ქამრის დაცვას შეეცდება. მისი მეტოქე მაქს ჰოლოვეია და ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ბრძოლა. საქმე ის გახლავთ, რომ ილიას ძალიან მძიმე დარტყმები აქვს და ალექსანდრ ვოლკანოვსკის ქამარი მას შემდეგ აართვა, რაც ნოკაუტში გაუშვა. აი, ჰოლოვეის გათიშვა კი, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, რადგან ის დარტყმებს საოცარი ამტანობით უძლებს.

ჰოდა, სანამ ჰოლოვეის დაუპირისპირდება, თოფურიას უთანხმოება UFC-ს ყოფილ ჩემპიონთან, ლეგენდარულ კონორ მაკგრეგორთან მოუვიდა. ცოტა ხნის წინ, ილიამ სურვლი გამოთქვა ქამარი მაკგრეგორთან დაეცვა, თუმცა ახლა განაცხადა, კონორთან ჩხუბი აღარ მინდა, რადგან ის ახლა ალკოჰოლს და ნარკოტიკებს უფრო წარმოადგენს, ვიდრე სპორტსო.

**„თოფურიას სადაც ვნახავ, იმ პატარა ცხვირს მოვაძრობ. ჰეი, თუ ჩხუბი გინდა, მე ესპანეთში ვარ. 12 ოქტომბერს, მარბელაში ვიქნები, მოდი და მნახე და მერე გავარკვიოთ, ვინ რას წარმოვადგენთ“,** – უპასუხა კონორმა, მაგრამ საეჭვოა, თოფურიას ახლა მისთვის ცხელოდეს, წინ დიდი ბრძოლაა. როგორც ამბობენ, ქართველი მებრძოლი დარბაზიდან არ გამოდის და ლამის 24-საათიან რეჟიმში ვარჯიშობს.

# შერმადინმა გამარჯვებით დაიწყო

ესპანეთის საკალათბურთო ლიგამ სტარტი აიღო და რა თქმა უნდა, საქმეშია ჩვენი ნაკრების ლიდერის, გიორგი შერმადინის „ტენერიფე“. ჩემპიონატის პირველ ტურში, გიოს გუნდმა „ბასკონიას“ უმასპინძლა და იმის მიუხედავად, რომ მეოთხე პერიოდის წინ, 3 ქულას აგებდა, საბოლოო ჯამში, მაინც იმარჯვა. შერმადინმა მოედანზე 20 წუთი გაატარა და თავი 10 ქულასა და 4 მოხსნას მოუყარა.

რადგან კალათბურთზე ვსაუბრობთ, ისიც ვთქვათ, რომ ერთ-ერთმა ევროპულმა გამოცემამ, ევროლიგის სტარტის წინ, იმ კალათბურთელთა სია გამოაქვეყნა, რომლებიც ყველაზე მეტ ხელფასს იღებენ. პირველ ადგილზე „ოლიმპაკოსის“ ლეგიოერი, ალეკსანდრ ვეზენკოვია, რომელსაც ბერძნები წლიურად 4.1 მილიონ ევროს უხდიან, მეორე-მესამე პოზიციას კი შეინ ლარკინი და მაიკ ჯეიმსი ინაწილებენ, შესაბამისად, წლიური 3.75 და 3 მილიონი ევროთი. ეს ამბავი კი, ჩვენთვის საინტერესო იმიტომ გახლავთ, რომ სიაში მე-11 ნომრად, იტალიური „ვირტუსის“ ქართველი ლეგიონერი, თორნიკე შენგელია წერია, რომლის წლიური ჯამაგირიც 2.1 მილიონი ევროა.

# ძიუდოს ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

ძიუდოს ფედერაციაში საანგარიშო ყრილობა ჩატარდა და ახალი პრეზიდენტიც აირჩიეს. მოქმედ პრეზიდენტ გიორგი ათაბეგაშვილს, მესამედ კანდიდატურის დაყენების უფლება აღარ ჰქონდა, საპრეზიდენტო რბოლაში კი, თავიდან ორი კანდიდატი – პირველი ვიცე-პრეზიდენტი, დავით ქევხიშვილი და ლევან ნოზაძე ჩაერთო, მაგრამ მერე ქევხიშვილმა კანდიდატურა მოხსნა. ხმის უფლების მქონე 57 დელეგატიდან, ყრილობას 45 ესწრებოდა და მათ ნოზაძის კანდიდატურას მხარი ერთხმად დაუჭირეს.

პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, ნოზაძემ პირველ ვიცე-პრეზიდენტად დავით ქევხიშვილი დაასახელა, ვიცე-პრეზიდენტი იქნება გიორგი ათაბეგაშვილიც, ხოლო გენერალური მდივნის თანამდებობა ირინა გულიაშვილმა დაიკავა.

# პალმერმა რეკორდი დაამყარა

ინგლისის პრემიერ-ლიგის მეექვსე ტურში, „ჩელსიმ“ საკუთარ მოედანზე, „ბრაიტონი“ 4:2 დაამარცხა. საგულისხმოა, რომ ყველა გოლი პირველ ტაიმში გავიდა და უფრო საინტერესო ის გახლავთ, რომ ოთხივე გული მასპინძელთა რიგებში კოულ პალმერის ანგარიშზეა.

22 წლის ფეხბურთელმა, 4 გოლის გატანა 20 წუთში მოახერხა და გახდა პირველი ფეხბურთელი პრემიერ-ლიგის ისტორიაში, რომელმაც ერთ ტაიმში პოკერის შესრულება შეძლო. იმის მიუხედავად, რომ „ჩელსი“ რიგითი გუნდი არ არის, ყველა აღიარებს, სეზონის დასრულების შემდეგ, ახალგაზრდა ფეხბურთელს „არისტოკრატებს“ არ დაუტოვებენ და ის აუცილებლად რომელიმე გრანდში გადავა. პირველ რიგში, მადრიდის „რეალი“ სახელდება და პალმერი უკვე 200 მილიონად დაფასდა, თუმცა თუ სეზონის ბოლომდე ასე გააგრძელა, ფასი აუცილებლად მოიმატებს.

# სექსუალური ტრეფიკინგი, რეკეტი, შანტაჟი და ნარკოძალადობა – სკანდალი, რომელმაც მსოფლიო შეძრა

*მე-3 გვერდიდან*

მტკიცებით ფორმაში დღეს ვერავინ იტყვის, ცნობილი სახეებიდან ვინ რჩებოდა და ვინ, რა სახით მონაწილეობდა ყველაფერ ამაში, რადგან გამოძიებას მათი სახელები არ გამოუაშკარავებია. დიდის წვეულებები, რომელიც 1998 წლიდან იმართებოდა, იყო ძალიან პრესტიჟული და ბევრი მასზე დასწრებაზე ოცნებობდა. შესაბამისად, შესაძლოა, ფავორიტი ვარსკვლავები აღმოვაჩინოთ ფოტო თუ ვიდეო მასალაში, მაგრამ ბავშვობისდროინდელი თუ ამჟამინდელი წარმოდგენები საყვარელ მუსიკოსებზე თუ მსახიობებზე, გამოძიების დასრულებამდე თავზე ნუ ჩამოგვენგრევა, რადგან შესაძლოა, ისინი წვეულების ოფიციალურ ნაწილს ესწრებოდნენ და არაფერი იცოდნენ „ფრიკ ოფზე“.




## P. Diddy-ს წინააღმდეგ შეტანილი ფედერალური საჩივრები

Cassie (Casandra Ventura) შონ კომბსის ყოფილი მეგობარი გოგონაა და სწორედ კასიამ, პირველმა შეიტანა მის წინააღმდეგ სარჩელი, რომელმაც ამ ყველაფრისთვის „სტარტის“ ღილაკი აამოქმედა.

კასია ვენტურამ, 2023 წლის ნოემბერში, შონ კომბსის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა – ის P. Diddy-ს გაუპატიურებასა და მრავალწლიან ძალადობაში ადანაშაულებდა. აღსანიშნავია, რომ Cassie-მ 24 საათში, მეორე დღესვე, სარჩელი გამოიტანა და განაცხადა, რომ ის და P. Diddy შეთანხმებამდე მივიდნენ. თუმცა, სწორედ კასიას სარჩელს მოჰყვა ათობით სხვა ადამიანების საჩივრები.

**„გადავწყვიტე, საკითხი მშვიდობიანი გზით მომეგვარებინა“,** – განაცხადა მაშინ კასიამ CNN-თან.

კასანდრა ვენტურას მიერ გამოტანილი საჩივრის შემდეგ, შონ კომბს კიდევ ორმა ქალმა უჩივლა სექსუალურ ძალადობაში. Joi Dickerson-Neal-მა მასთან მუსიკალური კლიპის გადაღებებში მიიღო მონაწილეობა. ჯოიმ სარჩელში განაცხადა, რომ P. Dddy-მ მას ნარკოტიკული ნივთიერება ჩაუყარა, რის შემდეგაც მასზე იძალადა – დიკერსონ-ნილის თქმით, ინციდენტი 1991 წელს მოხდა. ასევე, ჯოიმ აღნიშნა, რომ P. Diddy-მ მასზე ძალადობა კამერით გადაიღო და ვიდეომასალა სხვებს აჩვენა.

მეორე – Liza Gardner-მა, P. Diddy და Aaron Hall-ი ფიზიკურ ძალადობასა და სექსუალურ თავდასხმაში დაადანაშაულა, რომელიც 1990 წელს მოხდა. ლიზა მაშინ 16 წლის იყო. თავდაპირველად ლიზამ სარჩელი ანონიმურად შეიტანა, თუმცა შემდგომ საჩივარში ცვლილებები შეიტანა – დაამატა ვინაობაც და ახალი დეტალები. შონ კომბსმა ორივე ბრალდება უარყო.

2023 წლის დეკემბერში, ანონიმურმა ქალმა, ფსევდონიმით – „Jane Doe“ ფი დიდისა და კიდევ ორ პიროვნებაზე ფედერალური სარჩელი შეიტანა, სადაც ისინი სექსუალურ ვაჭრობასა და ჯგუფურ გაუპატიურებაში დაადანაშაულა. სავარაუდო თავდასხმის დროს, 2003 წელს, „Jane Doe“ 17 წლის იყო. საჩივარში აღნიშნული იყო, რომ კომბსმა სკოლის მოსწავლე სექს-ვაჭრობის სქემაში ჩაითრია, რომელიც მოიცავდა „მისთვის ნარკოტიკული ნივთიერებებისა და ალკოჰოლის მიწოდებას და გადაყვანას მისი კერძო თვითმფრინავით ნიუ-იორკში, სადაც გოგონაზე ჯგუფურად იძალადა სამმა პირმა, შონ კომბსის სტუდიაში“.

2023 წლის თებერვალი – Rodney „Lil Rod“ Jones, კომბსის ყოფილი ვიდეოგრაფი და მუსიკალური პროდიუსერი, ფედერალურ საჩივარში P. Diddy-ს გამოძალვაში, სექსუალურ ძალადობასა და ტრეფიკინგში ადანაშაულებს. როდნი ჯონსმა ასევე განაცხადა, რომ P. Diddy მას აიძულებდა, მოეძებნა და კომუნიკაცია დაემყარებინა სექს-ინდუსტრიის მუშაკებთან, ემუქრებოდა მას და წვეულებებზე სტუმრებს ნარკოტიკული საშუალებებით გაჯერებულ ალკოჰოლურ სასმელებს სთავაზობდა. ჯონსის თქმით, მას აქვს ვიდეო და აუდიო მასალა, რომელზეც ჩანს, რომ მუსიკოსი და მისი თანამშრომლები „სერიოზული არაკანონიერი საქმიანობით“ არიან დაკავებულები.

ამ და სხვა საჩივრებს ასევე ემატება, 4 აპრილს შეტანილი სარჩელი P. Diddy-ს შვილის წინააღმდეგ. საქმის ფარგლებში, მოპასუხედ სწორედ P. Diddy დაინიშნა. გრეის ო'მარკეიმ ქრისტიან კომბსი სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულა. სავარაუდო დანაშაული 2022 წლის დეკემბერში მოხდა, როდესაც ის კომბსის ოჯახის იახტაზე მუშაობდა.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დანაშაულზე, შონ კომბსის უფლებადამცველი აცხადებდა, რომ აღნიშნული საჩივრები სიმართლეს არ შეესაბამება.

17 მაისს, CNN-მა გამოაქვეყნა ვიდეო-მასალა სასტუმროს ფარული კამერებიდან, რომელიც 2016 წლით თარიღდება, სადაც ჩანს, რომ P. Diddy სასტიკად უსწორდება Cassie Ventura-ს. ვიდეოს გავრცელებიდან ორ დღეში, 19 მაისს, P. Diddy-მ ვენტურაზე განხორციელებულ ძალადობაზე საჯაროდ მოიხადა ბოდიში. მოგვიანებით, მან საბოდიშო ვიდეოპოსტი „ინსტაგრამიდან“ წაშალა.

21 მაისს, Crystal McKinney – ყოფილი მოდელი და MTV-ს კონკურსების გამარჯვებული, პაფ დედის სექსუალურ თავდასხმაში ადანაშაულებს. ფედერალურ სარჩელში ის განმარტავს, რომ შემთხვევა მამაკაცთა მოდის კვირეულის ღონისძიების შემდეგ, ნიუ-იორკში მოხდა. იმ დროისთვის, ყოფილი მოდელი 22 წლის იყო.

23 მაისს, April Lampros-მა, რომელმაც კომბსი 1994 წელს გაიცნო, ფი დიდდი სექსუალურ თავდასხმაში, ფიზიკურ ძალადობაში, ემოციური სტრესის მიყენებაში დაადანაშაულა. ლამპროსმა კომბსს დანაშულის ოთხ ეპიზოდში დასდო ბრალი, რომლებსაც 1990-დან 2000-მდე წლებში ჰქონდა ადგილი.

CNN-ის წყაროების მიხედვით, მოსარჩელეების უმეტესობა ფედერალურმა გამომძიებლებმა დაკითხეს. ზოგიერთმა მათგანმა ფედერალებს მტკიცებულებები გადასცეს, რომლებიც გამოძიებას დაეხმარება.

3 ივლისს, Adria English, 18+ ფილმების ყოფილი მსახიობი, შონ კომბსს ტრეფიკინგსა და სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს. ფედერალურ სარჩელში წერია, რომ მას „იყენებდნენ სექსუალურ პაიკად სხვების სიამოვნებისა და ფინანსური სარგებლისთვის“ წვეულებების დროს, რომლებიც კომბსის სახლებში იმართებოდა. სარჩელში აგრეთვე აღინიშნება, რომ კომბსი ანდრია ინგლიშს „პროსტიტუციასა და ტრეფიკინგით დაკავებას“ აიძულებდა 2006-2009 წლებში.

11 სექტემბერს, მუსიკოსი Dawn Richards-ი, მუსიკალური ჯგუფის Danity Kane-ის ყოფილი წევრი, P. Diddy-ს ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობაში ადანაშაულებს. ასევე, მან განაცხადა, რომ მოწმე იყო იმისა, თუ როგორ „სასტიკად უსწორდებოდა“ კომბსი ქეისი ვენტურას, როდესაც წყვილი ერთმანეთს 2000-იან წლებში ხვდებოდა.

16 სექტემბერს, 54 წლის რეპერი ნიუ-იორკში დააკავეს. ლოს-ანჯელესსა და მაიამიში, P. Dddy-ს სახლების ჩხრეკისას, ფედერალებმა ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის, სამი „AR-15“ ამოიღეს, რომლებსაც წაშლილი ჰქონდათ სერიული ნომრები, ასევე ამოიღეს საბავშვო ზეთებისა და ლუბრიკანტების ათასამდე ბოთლი, ნარკოტიკული საშუალებები და მრავალი „სათამაშო ზრდასრულთათვის“.

P. Diddy-ს ბრალი ედება „კრიმინალური დაჯგუფების“ შექმნაში, გაუპატიურებაში, პროსტიტუციის ხელშეწყობაში, ნარკოტიკების გასაღებაში, ძალდატანებით შრომაში, გატაცებებში, ხანძრებში, ფიზიკურ, ემოციურ და ვერბალურ ძალადობაში, გამოძალვასა და არასრულწლოვნების ექსპლუატაციასა და ძალადობაში. CNN-მა ასევე გამოაქვეყნა სასამართლო ბრალდების 14-გვერდიანი დოკუმენტები.

პროკურორების მტკიცებით, ათწლეულების განმავლობაში, მუსიკოსი ძალადობდა ქალებზე და საკუთარი „ქსელის“ სხვა წევრებზე, რათა „საკუთარი სექსუალური ფანტაზიები დაეკმაყოფილებინა, დაეცვა საკუთარი რეპუტაცია და ჩადენილი დანაშაულები დაეფარა“. ამას გარდა, პროკურორები ადანაშაულებენ შონ კომბსს ხანგრძლივი სექსუალური ხასიათის ღონისძიებების ორგანიზებაში, სადაც ის ღონისძიებების წევრებს ნარკოტიკული ნივთიერების – „Freak Offs“-ის ზემოქმედების ქვეშ ამყოფებდა.

ამ დროისთვის, P. Diddy ბრუკლინის ფედერალურ საპატიმროში იმყოფება, სადაც ელოდება სასამართლო პროცესების დაწყებას, რომელიც 9 ოქტომბერსაა ჩანიშნული.

ფი დიდდის ადვოკატებს უკვე ორმა მოსამართლემ უთხრა უარი 50 მილიონი დოლარის ოდენობის გირაოზე. ასევე, მას უარი ეთქვა შინა პატიმრობაზეც.

გავრცელებული ინფორმაციით, შონ კომბსმა საპატიმროში საკვების მიღებაზე უარი თქვა და შიმშილობა დაიწყო. მან განაცხადა, რომ მოწამვლის ეშინია.

## კატამ პატრონს ლატარიის ბილეთი მიუტანა

ნისლიან ალბიონზე, კატამ, სახელად მანკი, საკუთარ პატრონს სახლში უჩვეულო საჩუქარი – ლატარიის ბილეთი „მიართვა“. ეს ფაქტი ცხოველის პატრონმა, მეგან კრისტიანმა ვიდეოზე აღბეჭდა და სოციალურ ქსელში დადო. მის კადრებზე ჩანს, რომ ქუჩიდან სახლისკენ მიმავალ კატას კბილებში გამოუყენებელი ბილეთი უჭირავს. როცა კრისტიანმა ბილეთი გადაფხიკა, სასიამოვნოდ გაკვირვებული დარჩა – ის მომგებიანი აღმოჩნდა და ქალს 10 გირვანქა სტერლინგი მოუტანა. მეგანი ამბობს, რომ ამ თანხას „რამე სასიამოვნოზე“ დახარჯავს. ქალი იხსენებს, რომ მის კატას სხვადასხვა „საჩუქარი“ ადრეც მიუტანია სახლში, მათ შორის, ლურსმნები და ბავშვის სატყუარა.

## „საათი“ სიკვდილის დროსაც გვაუწყებს

New York Post-ის ინფორმაციის მიხედვით, აპლიკაცია Death Clock (სიკვდილის საათი) ხელოვნური ინტელექტის საფუძველზეა შექმნილი. პროგრამა აგროვებს მონაცემებს მომხმარებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მისი ანკეტიდან, ითვალისწინებს წონას, სისხლში შაქრის დონეს, წნევას, ძილის ხარისხს, ფიზიკურ აქტივობას, მავნე ჩვევებს, კვების თავისებურებებს... მოკლედ, ყველაფერს, რასაც სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გავლენის მოხდენა შეუძლია. გარდა ამისა, გათვალისწინებულია სოციალური ცხოვრებაც, ფსიქიკური მგომარეობა და ადამიანის ემოციური ფონიც. შედეგად, „სიკვდილის საათი“ ზუსტ დღეს ასახელებს. სიახლის ავტორები აცხადებენ, რომ პროგრამის მიზანი ადამიანების მოტივირებაა, შეცვალონ ცხოვრების არაჯანსაღი სტილი და ჯანმრთელობას მიხედონ. უფრო ზუსტად, „საათი“ მომხმარებელს ფიზიკური აქტივობის სხვადასხვა ვარიანტს, დიეტის შესახებ რეკომენდაციებსა და საკუთარ თავზე მუშაობას სთავაზობს, რათა უფრო დიდხანს იცოცხლოს.

## სამსახურიდან წასვლა ეკრძალებათ

ამომავალი მზის ქვეყანაში, ცოტა ხნის წინ, ახალი ნიშა გაჩნდა სამუშაო სექტორში – სამსახურიდან გათავისუფლების აგენტი. ნებისმიერ ევროპელის ან ამერიკელისთვის ეს სპეციალობა გასაოცარი იქნება, თუმცა არა იაპონელისთვის, ან სამხრეთ კორეელისთვის. აქ ზედმეტად მუშაობა არავისთვის არის არანორმალური – პირიქით, მათთვის წარმოუდგენელია, არ გსურდეს მუშაობა „ისე, როგორც საჭიროა“. ასე რომ, იაპონიაში სამსახურიდან წასვლა ადვილი საქმე სულაც არ არის. უფროსმა, შესაძლოა, განცხადება „თავზე გადაგახიოთ“, შეგიძლიათ იტიროთ, მაგრამ ეს არ გიშველით. სწორედ ასეთი შემთხვევებისთვის შეიქმნა გათავისუფლების აგენტის სამსახურიც. თუმცა ადგილობრივები მაინც მზად უნდა იყვნენ იმისთვის, რომ ერთხელ, შესაძლოა, ბოსი სახლშიც მიადგეთ, სამსახურში დარჩენის თხოვნით.

## ნარჩენებისგან მზის სათვალეს ამზადებენ

ტაივანზე, გადამუშავებული ნარჩენებისგან მზის სათვალეებსა და სამშენებლო მასალებს ამზადებენ. ნედლეული ის ნაგავია, რომელიც გადასამუშავებლად არის დახარისხებული. ესენია ბოთლის სახურავები, კვების პროდუქტების შეფუთვები, ჭურჭელი და გადაყრილი სათამაშოები. საბოლოო პროდუქტს პრეს-მანქანის დახმარებით იღებენ, რომელიც ანაწევრებს ნაგავს და ფორმას აძლევს მზა პროდუქტს. ადგილობრივებისთვის მასტერ-კლასებს ატარებენ და თვალნათლივ აჩვენებენ, როგორ იცავს გარემოს ნაგვის გადამუშავება და რა სარგებელი მოაქვს ამ პროცესს. ტაივანის გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემებით, გასულ წელს, კუნძულზე რეკორდული რაოდენობის – თითქმის 12 მილიონი ტონა ნარჩენი აღირიცხა. მათგან ნახევარზე მეტი გადამუშავებადი ნაგავია, რომელიც შემდგომში აქსესუარებად, ტანსაცმლად და სახლებადაც კი გვევლინება.

# რეკორდსმენი ფეხის ზომით გახდა

ამერიკელი მოზარდი გინესის რეკორდების წიგნში ფეხისა და ხელის უზარმაზარი ზომის გამო მოხვდა. ის 16 წლის ერიკ კილბერნია. ერიკის ფეხის ტერფის სიგრძე 34.3 სანტიმეტრია. ეს რამდენჯერმე მეტია, ვიდრე ზრდასრული მამაკაცის საშუალო ფეხის ზომა. მოზარდის ხელისგულების სიგრძე კი 23.2 სანტიმეტრია. კილბერნის თქმით, ბავშვობიდანვე ის საკუთარ თანატოლებზე გაცილებით დიდი იყო, ფეხსაცმელსაც შეკვეთით უმზადებდნენ. არადა, ერიკი სპორტით არის გატაცებული და სურს, შეუერთდეს The Big Shoe Network-ს, რომელიც დედამისმა შექმნა, დიდი ზომის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მოსაძიებლად.

# საყვარლების გამო ჩინოვნიკი ციხეში ჩასვეს

ჩინეთში, ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკს, საკუთარ თანამშრომლებს შორის 58 საყვარელი ჰყავდა. ისინი მასთან ინტიმურ კავშირს სამსახურიდან გათავისუფლების შიშით თანხმდებოდნენ. როგორც South China Morning Post წერს, 52 წლის ჩჯუნ იანი, გუჩჟოუს პროვინციაში, გუბერნატორისა და პარტიის მდივნის მოადგილის თანამდებობას იკავებდა. ის ღარიბ ოჯახში გაიზარდა, უნივერსიტეტში ისტორიას სწავლობდა, ჩინეთის კომპარტიაში 22 წლისა შევიდა და კარიერაში წინსვლასაც მიაღწია. თუმცა, ის კორუფციაში გამოიჭირეს. მას ასევე „ლამაზ გუბერნატორადაც“ იცნობენ. ხშირად სტუმრობდა ელიტურ კლუბებს, მივლინებებში მიჰყავდა თანამშრომლები, ან აიძულებდა, რომ სამსახურში გვიანობამდე დარჩენილიყვნენ. გარეგნობით გამორჩეული გუბერნატორი მედიაშიც ხშირად ჩანდა. ის გათხოვილი არ არის და არც შვილები ჰყავს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ქალი ქრთამებს იღებდა და ხელსაყრელ კონტრაქტებს უფორმებდა პრივილეგირებულ კომპანიებს. ვინც მასთან ინტიმურ კავშირზე უარს ამბობდა, კონტრაქტებსაც არ უფორმებდა. ჩინოვნიკს სასამართლომ 13 წლით თავისუფლების აღკვეთა და მილიონი იუანის (140 ათასი დოლარი) ჯარიმის გადახდა დააკისრა უსამართლო ქმედებებისთვის, მათ შორის, სექსუალური კავშირებისთვის 58 თანამშრომელთან, ასევე, 60 მილიონი იუანის გადახდა – ქრთამის აღებისთვის.

# ყოველი მესამე ბავშვი ახლომხედველია

ჩინელი სწავლულები აცხადებენ, რომ მსოფლიოში, ბავშვების მხედველობა სტაბილურად უარესდება და ყოველი სამი ბავშვიდან, ერთი – ახლომხედველია. ამ ინფორმაციას BBC ავრცელებს. კვლევის ავტორებმა ექვსივე კონტინენტზე, 50 ქვეყანაში, 5 მილიონზე მეტი ბავშვის მონაცემები შეისწავლეს და დადგინეს, რომ 2050 წლისთვის, ახლომხედველობა ანუ მიოპია მოზარდების ნახევარზე მეტს შეეხება. დღესდღეობით, ახლომხედველობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აზიაში ფიქსირდება. მაგალითად, იაპონიაში, შორს მდებარე ობიექტების დანახვა უჭირს ბავშვების 85%-ს, სამხრეთ კორეაში – 7%-ს, ჩინეთსა და რუსეთში კი – 40%-ს. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი პარაგვაისა და უგანდაში გამოვლინდა – მხოლოდ 1%. სპეციალისტების დაკვირვებით, სიტუაცია განსკუთრებით გაუარესდა კორონავირუსის დროს დაწესებული ლოქდაუნების გამო, როდესაც მილიონობით ბავშვს, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, სახლში მოუწია დარჩენა. მკვლევარები დაავადების გამომწვევ მიზეზებზეც საუბრობენ – დიდწილად, ის გენეტიკურ ფაქტორებზეა დამოკიდებული, თუმცა არანაკლებ როლს გარემოც თამაშობს. მაგალითად, აზიაში, ბავშვები სწავლას ადრეული ასაკიდან იწყებენ და მეტ დროს ატარებენ წიგნებთან და ეკრანებთან, რაც თვალის კუნთის დაძაბულობას იწვევს. ბრიტანელი სპეციალისტები აცხადებენ, რომ ახლომხედველობის განვითარების შანსების შესამცირებლად, ბავშვებმა 7-9 წლის ასაკში, სულ მცირე, ორი საათი მაინც უნდა გაატარონ გარეთ, მშობლებმა კი, ამ პერიოდში, მათი მხდდველობა წელიწადში ერთხელ მაინც უნდა შეამოწმონ.

# ვირუსებს „ჭკვიანი ქსოვილი“ გაანადგურებს

ამერიკელმა სწავლულებმა, რაისის უნივერსიტეტიდან, ახალი ქსოვილი შექმნეს, რომელსაც ვირუსების განადგურება შეუძლია. მისი გარეთა მხარე ძლიერ ცხელდება, შიგნითა კი გრილი რჩება. ეს კომპოზიტური მასალა, ტექსტილის საფუძველზე, ჯოულის გათბობას იყენებს. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ასეთი ქსოვილით შესაძლებელია, შეიქმნას ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, მაგალითად, ხელთათმანები. ეს საშუალებას მოგვცემს, უარი ვთქვათ ერთჯერად ნაწარმზე, რომელიც ხშირად უნდა გამოიცვალოს და თან, გარემოსაც აბინძურებს.

# ტაძარს ბავშვობაში მოპარული ფული დაუბრუნა

სამხრეთ კორეის ქალაქ იანსანის ბუდისტურ ტაძარში, შემოწირულობის ყუთში, ცოტა ხნის წინ წერილი აღმოაჩინეს ანონიმური გამგზავნისგან. საბოდიშო წერილთან ერთად, კონვერტში 2 მილიონი ვონიც იდო. ავტორი 27 წლის წინ ჩადენილ დანაშაულს ინანიებდა. წერილში ბიჭის ისტორია იყო მოთხრობილი, რომელმაც 1997 წელს (აზიაში გახურებული ფინანსური კრიზისის დროს), ამავე ტაძრიდან 30 ათასი ვონი მოიპარა და სახლში წაიღო. რამდენიმე დღის შემდეგ, ბიჭი კვლავ შეეცადა ფულის აღებას, თუმცა ბერმა გამოიჭირა, მაგრამ პოლიცია არ გამოუძახებია, უბრალოდ, ხელი ჩამოართვა და თავი გადააქნია. წერილის ავტორი წერს, რომ ამ დღის შემდეგ, მას სხვისი საკუთრებისკენ აღარ გაუხედავს. „თითქოს, ბერმა ჯადო გამიკეთა, რომ კარგი გავმხდარიყავი“, – ეწერა წერილში. ამდენი წლის შემდეგ კი გადაწყვიტა, რომ დრო მოვიდა, მოიბოდიშოს და მადლიერება გამოხატოს იმისთვის, რომ მაშინ პატარა ქურდბაცაცა დაინდეს.

# ფულს ნახევარი საწოლის გაქირავებით შოულობს



ავსტრალიელმა „მეწარმემ“ მონიკა ჯერემაიამ, თვეში 500 გირვანქა სტერლინგის გამომუშავება შეძლო. ამ გზით მან აუცილებელი თანხა დააგროვა და სამოდელო კომპანია გახსნა, რაც მისი ოცნება იყო. ფულის შოვნა კი მონიკამ საკუთარი საწოლის ნახევრის გაქირავებით მოახერხა, რომელსაც ორი წლის განმავლობაში, მისი ყოფილი შეყვარებული იკავებდა. ეგრეთ წოდებული, „ცხელი საწოლი“ ქალსაც აწყობდა, რადგან თავადაც არასდროს იყო მარტო. ეს შეთავაზება იმ ადამიანებისთვის არის, რომლებსაც შეუძლიათ ემოციურად განშორება და ძილი სხვა ადამიანის გვერდით, ყოველგვარი ვალდებულების გარეშე. მონიკას პირველი კლიენტი მისი ნაცნობი იყო, რამაც ბიძგი მისცა მისი ბიზნესის განვითარებას.

# პენსიონერს ფული აივნიდან გადააყრევინეს

სლოვაკეთში, ქალაქ პრევიძას პოლიცია თაღლითობის საქმეს იძიებს, რომლის მსხვერპლიც 62 წლის ქალი გახდა. ბოროტმოქმედებმა მას აიძულეს, მთელი თავისი და ქალიშვილის დანაზოგი, დაახლოებით, 100 ათასი ევრო აივნიდან გადაეყარა. როგორც ადგილობრივი პრესა წერს, უცნობმა მამაკაცმა პენსიონერს ტელეფონზე დაურეკა, თითქოს მისი ბებია იყო და დაარწმუნა, რომ შვილიშვილი სიმონი იყო. თაღლითმა განუცხადა, რომ სასწრაფოდ, რამდენიმე წუთში სჭირდებოდა თანხა, თითქოსდა, ბანკი ითხოვდა მისგან ფულს. აღელვებულმა „ბებიამ“ მოაგროვა, რაც კი მას და მის ქალიშვილს სახლში თანხა ჰქონდათ, ცელოფანში გაახვია და მითითების მიხედვით, „შვილიშვილს“ აივნიდან გადაუგდო. უცნობმა ადამიანმა სწრაფად აიღო ფული და გაუჩინარდა. სამართალდამცავები მოუწოდებენ მოქალაქეებს, ფრთხილად იყვნენ სატელეფონო ზარების შემთხვევაში და ყოველთვის გადაამოწმონ, ვის ელაპარაკებიან. განსაკუთრებით, ხანდაზმულების ინფორმირებას სთხოვენ ამ თაღლითურ სქემებზე, რათა მსგავსი ტრაგედიები აირიდონ თავიდან.

# ანტიბაქტერიული ბამბა შექმნეს




სპეციალისტებმა ანტიბაქტერიული ეფექტის მქონე ბამბა შეიმუშავეს. ამისთვის მათ ქსოვილი დაფარეს ლითონის ოქსიდის ნანონაწილაკებით, რომლებიც ცნობილია, რომ თრგუნავენ ბაქტერიებისა და სხვა რეზისტენტული მიკროორგანიზმების აქტივობას. სწავლულებმა დამატებითი დაცვისთვის ულტრაბგერითი დამუშავების ტექნოლოგია გამოიყენეს, რამაც შესაძლებელი გახადა ლითონის ნაწილაკების თანაბრად განაწილება. მასალის საბოლოო ხარისხი და გარეგნობა საერთოდ არ განსხვავდება ჩვეულებრივი ბამბისგან. მისი დამცავი საფარი სარეცხ მანქანაში, სულ ცოტა, 20 გარეცხვას მაინც უძლებს. სამთვიანი ცდები მკვლევარებმა ვიეტნამში ჩაატარეს, სადაც მაღალი ტენიანობა და ტემპერატურაა. ასეთი გარემო კი ხელს უწყობს პათოგენების გამრავლებას. ცდების შემდეგ აღმოაჩინეს, რომ ახალ ქსოვილზე მიკროორგანიზმების რაოდენობა 30-100-ჯერ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე ჩვეულებრივ ბამბაზე.

# ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲔᲑᲘ „ᲓᲠᲝᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐᲡ“ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲜ

გერმანიის სამხრეთით მდებარე ქალაქ ვედმინგში, „დროის პირამიდის“ მშენებლობა დაიწყეს. ის ადგილობრივი მხატვრის, მანფრედ ლაბერის პროექტია, რომელიც უნდა დასრულდეს... 3183 წელს. საბოლოოდ, პირამიდა 120 ბეტონის ბლოკისგან იქნება შემდგარი, რომელსაც ათწლეულში ერთხელ, 1993 წლიდან მოყოლებული, ამატებენ ხოლმე. შედეგად, მასშტაბური ნაგებობა გამოვა, რომლის სიმაღლეც 7 მეტრი იქნება. პროექტის იდეის ავტორი მხატვარი 2018 წელს გარდაიცვალა, თუმცა მისი სიკვდილის შემდეგ, ქალაქის ხელისულებამ დააფუძნა ფონდი – ვედმინგის „დროის პირამიდა“, ხელოვნების ამ ნიმუშის დასაფინანსებლად. პროექტი სხვადასხვა თაობებზე დროის გავლენას იკვლევს. ქალაქის ერთ-ერთი მცხოვრები აცხადებს, რომ 1993 წლიდან, ბეტონის ბლოკის დადების ყოველ ცერემონიას ესწრება.

# ᲓᲔᲓᲘᲡ ᲠᲫᲔ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ

ამერიკულმა კომპანიამ – BIOMILQ, განაცხადა, რომ პირველებმა მიიღეს დედის რძე სარძევე ჯირკვლებიდან, რომელიც ლაბორატორიაში იყო გამოყვანილი. ანალოგი პრაქტიკულად ყველა სასარგებლო ცილებისა და მიკროელემენტის ნაკრებს შეიცავს, რაც ორიგინალს აქვს. ამასთან, მასში არ არის ტოქსინები დაბინძურებული გარემოდან, ალერგენები და პრეპარატების კვალი, რომელსაც ხშირად აღმოაჩენენ ხოლმე დედის რძეში. ანტისხეულების გარეშეც კი, ჩვენი პროდუქტის ბიოაქტიური შემადგენლობა უფრო მეტად ახლოს არის დედის რძესთან, ვიდრე იმ რძის ფხვნილებთან, რომლითაც ჩვილებს კვებავენ. ის ხელს შეუწყობს იმუნური სისტემისა და მიკრობიომის, ასევე ნაწლავებისა და ტვინის განვითარებას. ძროხის რძეზე დამზადებულ საკვებს კი ამის გაკეთება არ შეუძლია, – აცხადებენ კომპანიაში. გარდა ამისა, „რძის გამოყვანა“ გაცილებით ეკოლოგიური პროცესია, ვიდრე ტრადიციული ბავშვთა კვება.

# სიყვარულის შეგრძნებების რუკა შექმნეს




ფინელმა სწავლულებმა, აალტოს უნივერსიტეტიდან, შეადგინეს რუკა, რომელიც გვიჩვენებს, ადამიანის სხეულის რა ადგილას შეიგრძნობა სიყვარულის სხვადასხვა სახეობა. მათი უმრავლესობა აშკარად გამოჩნდა თავში, თუმცა ამ გრძნობამ სხვა ორგანოებიც მოიცვა. მკვლევარებმა სიყვარულის 27 ტიპი გამოჰყვეს: რომანტიკული, სექსუალური, მშობლიური, საკუთარი თავის მიმართ და სხვა. ექსპერიმენტის ასობით მონაწილეს კი სთხოვეს დაეხატათ, სად გრძნობდნენ სიყვარულს. შედეგებმა აჩვენა, რომ სიყვარულის მრავალი სახეობა ტვინში აისახება, თუმცა სხვა ორგანოებიც აქვს „ჩათრეული“. მაგალითად, დედობრივი სიყვარული ძლიერად იგრძნობა გულშიც. სიყვარულის ყველაზე ძლიერი ფორმები ფართოდ შეიგრძნობა მთელ სხეულში.

# ᲑᲝᲢᲝᲥᲡᲘ ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲐᲡᲐᲪ ᲨᲕᲔᲚᲘᲡ?

ᲑᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲢᲝᲥᲡᲘ – ᲒᲐᲡᲣᲤᲗᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲣᲡᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲝᲢᲣᲚᲘᲖᲛᲘᲡ „Ა“-ᲢᲘᲞᲘᲡ ᲜᲔᲘᲠᲝᲢᲝᲥᲡᲘᲜᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ �გᲐᲛᲝᲧᲜᲔᲑᲐᲪ 1980 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ. ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ, ᲔᲡ ᲜᲘᲕᲗᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲣᲫᲚᲘᲔᲠᲔᲡᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲣᲚᲘ ᲨᲮᲐᲛᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲡᲐᲭᲛᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲜᲔᲚᲔᲑᲔᲚ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲨᲘ ᲛᲝᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡᲐᲡ, ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲛᲫᲘᲛᲔ ᲢᲝᲥᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲐ – ᲑᲝᲢᲣᲚᲘᲖᲛᲘ �გᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲝᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗ, Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲝᲖᲔᲑᲘᲗ, ᲑᲝᲢᲣᲚᲘᲜᲘᲡ ᲢᲝᲥᲡᲘᲜᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲔᲡᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲐᲨᲘ. ᲘᲡ ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲘᲐ ᲨᲐᲙᲘᲙᲘᲡ, ᲙᲣᲜᲗᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲐᲖᲛᲘᲡ, ᲰᲘ�პᲔᲠᲰᲘᲓᲠᲝᲖᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲓᲘᲡ ᲨᲔᲣᲙᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ. ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲛᲐ ᲡᲬᲐᲕᲚᲣᲚᲔᲑᲛᲐ, ᲙᲐᲚᲘᲤᲝᲠᲜᲘᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲓᲐᲜ, ᲓᲐᲐᲓᲒᲘᲜᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲢᲝᲥᲡᲘᲡ ᲘᲜᲔᲥᲪᲘᲐᲛ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲤᲝᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲛᲞᲢᲝᲛᲔᲑᲘᲪ ᲨᲔᲐᲛᲪᲘᲠᲝᲡ. ᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲑᲝᲢᲝᲥᲡᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲔᲑᲨᲘ ᲨᲤᲝᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲡᲙᲘ 22-27%-ᲘᲗ ᲓᲐᲑᲐᲚᲘᲐ.

## განდეგილებს რობოტებს დაურიგებენ

ამომავალი მზის ქვეყანაში, სწრაფად იზრდება ჰიკიკომორის – იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც საკუთარი ნებით უარს ამბობენ სოციალურ ცხოვრებაზე და მუდმივად განმარტოებას ცდილობენ. ახალი რობოტი, რომელსაც OriHime უწოდეს, იმისთვის შეიქმნა, რომ ასეთ განდეგილებს სოციალური ურთიერთობა აუწყონ. მომხმარებელი რობოტის მართვას ტელეფონიდან, აპლიკაციის საშუალებით შეძლებს, რისი წყალობითაც ის, სახლიდან გაუსვლელად, გარე სამყაროს დაუკავშირდება. რობოტი სულ 25-სანტიმეტრიანია, თეთრი ფერის, მწვანე თვალებით. აღჭურვილია ხელებით, რომელსაც ლაპარაკისას ამოძრავებს. ამ „ჭკვიანი მანქანით“ ექსპერიმენტი პირველად კობეს პრეფექტურაში დაიწყეს – დამხმარე რობოტებს სოციალური იზოლაციის მსურველ ადამიანებს დაურიგებენ. ჰიკიკომორის რაოდენობის ზრდა იაპონიაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო, როცა გაჩნდა კიდეც ეს ტერმინი. ამ პრობლემამ ახლა კვლავ იჩინა თავი, რასაც ხელი კორონაპანდემიამაც შეუწყო – გაიზარდა თვითმკვლელობებისა და ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების რიცხვი.

## ქათმების ენასაც გავიგებთ

სწავლულებმა ამომავალი მზის ქვეყნიდან, ქათმების ენის „თარჯიმანი“ შექმნეს. ის ხელოვნური ინტელექტის ბაზაზე მუშაობს. სიახლე იყენებს „ღრმა ემოციური ანალიზის“ ტექნოლოგიას ანუ განასხვავებს ფრინველების ემოციებს. მოწყობილობა 80 დედალსა და მამალზე დატესტეს. გამომგონებლები გვარწმუნებენ, რომ მათი „სასწაული მანქანის“ მეშვეობით შევძლებთ, გავიგოთ, კმაყოფილები არიან თუ არა ფრინველები, განიცდიან თუ არა აღფრთოვანებას, ან თუ ეშინიათ რამის. სწავლულები ამტკიცებენ, რომ „ქათმების ენა“, მათი ჯიშების გათვალისწინებით, განსხვავებულია.

## სტაფილო სისხლს წმენდს

სისხლში ტოქსინების, მიკრობებისა და მძიმე მეტალების დაგროვება ორგანიზმს შიგნიდან ანგრევს. ამ მავნე ელემენტების გამოდევნას ხელს უწყობს სწორი კვება, – ამბობენ სპეციალისტები. ამ პროცესში პირველი მნიშვნელოვანი პროდუქტია სტაფილო: ის შეიცავს „ა“, „ბე“, „ცე“ და „კა“-ვიტამინებს, ასევე ცილა გლუტატინს, რომელიც შესანიშნავად წმენდს ღვიძლს და ეხმარება ორგანიზმს ტოქსინებისგან გათავისუფლებაში. სისხლის გაწმენდას ხელს უწყობს ვაშლი, რომელიც პექტინს შეიცავს – ის მძიმე მეტალებისა და ქოლესტერინისგან წმენდს ორგანიზმს. გარდა ამისა, სასარგებლოა გოგრაც, რადგან მასში გოგირდი და უამრავი ანტიოქსიდანტია.

## პომიდვრის წვენი წნევას არეგულირებს

ტომატის წვენის წყალობით, არტერიული წნევის დაქვეითება და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკის შემცირება შესაძლებელია, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ იაპონელი სწავლულები. მათ კვლევებში 500-ზე მეტი ქალი და მამაკაცი მონაწილეობდა. ერთი წლის განმავლობაში, ისინი ტომატის წვენს იღებდნენ მარილის გარეშე. აღმოჩნდა, რომ მათგან ასამდე მოხალისეს, რომელთაც ჰიპერტონია ჰქონდათ, მნიშვნელოვნად დაურეგულირდათ წნევა. გარდა ამისა, სპეციალისტებმა ტოკიოს სამედიცინო უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ ექსპერიმენტში მონაწილეებს, სისხლში ქოლესტერინის გადამტანი ლიპოპროტეინების დონეც შეუმცირდათ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.